ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## „ეროვნულ ბანკს ფუნქციები უნდა ჩამოერთვას“

ნიკა შენგელაია: „ლარის გაუფასურებას ხან ვაქცინას დააბრალებენ და ხან ყვავის ჩხავილს“



გვ.3

ორშაბათი, 29 მარტი, 2021 №51 (8580) ფასი: 60 თეთრი

# „გახარია-კალაძის ტანდემი გარდაუვალია“



გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსები არ ლაპარაკობენ საკუთარ ავადმყოფობაზე. ძალიან გამაკვირვა კალაძის განცხადებამ“



## „ივანიშვილს „ოცნების“ ოპოზიციაში გადაყვანა სურს“



რამაზ საყვარელიძე: „გახარიას „ქართული ოცნებაც“ და „ნაციონალური მოძრაობაც“ დაუპირისპირდება“



## „ნაციონალურ მოძრაობას მოლაპარაკება არ უნდა“



გვ.3

გიგლა ბარამიძე: „მალე პოლიტიკურ სპექტრში სერიოზული ცვლილებები იქნება“

ნიკა ჩიტაძე: „სააკაშვილის სუსტი მხარეა შეურაცხყოფაზე გადასვლა“

## „ოცნება“ ვადამდელს არ დათანხმდება, პლებისციტი შესაძლებელია“

გვ.4



## განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ბაზაზე ახალი სპორტული დარბაზი გაიხსნა

გვ.5



5

**ჩუმლაყში მკვლელობის საქმეზე 2 პირი დააკავეს**

რა კავშირი აქვს დანაშაულს 16 წლის წინ მომხდარ მკვლელობასთან

2

**ნათია მეზვრიშვილი: „მელიას დაკავების აუცილებლობა არ იყო“**

5

**„მაიორ მერაბ ბარბაქაძეს მობილურზე დაურეკეს, ის სახლიდან გავიდა და თავში ისროლა“**

თვითმკვლელობა თბილისში

6

**ნიკოლ ფაშინიანი: „აპრილში გადავდგები“**

ISSN 1987-9385

# „გახარია-კალაძის ტანდემი გარდაუვალია“

## პაატა ზაქარეიშვილი: „ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსები არ ლაპარაკობენ საკუთარ ავადმყოფობაზე. ძალიან გამაკვირვა კალაძის განცხადებამ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.



***– ბატონო პაატა, კრისტიან დანიელსონი კვლავ საქართველოშია, ის მედიატორის როლს ასრულებს და აქტიურად ჩაერთვება მოლაპარაკებებში და კითხვა ისმის ასე, ვის დაათმობინებენ, ხელისუფლებას თუ ოპოზიციას. ალბათ უფრო სწორი იქნება თუ მოხდება კომპრომისი და ორივე მხარე დათმობს. თქვენ როგორ უყურებთ ამ პროცესს?***

– ღმერთმა ქნას, რომ მართალი არ აღმოვჩნდე, მაგრამ მე მეშინია, რომ დანიელსონი კვლავაც უშედეგოდ წავა საქართველოდან. უკვე ორივე მხარე ღიად აჩენს საკუთარ პოზიციას, პოზიციას უკომპრომისობისას.

***– ოპოზიციამ დააფიქსირა მკვეთრი პოზიცია მოლაპარაკების წინ. ხელისუფლება აცხადებს, რომ ოპოზიცია საბოტაჟს ეწევაო.***

– საბოტაჟი შეიძლება ხმამაღალი სიტყვაა, მაგრამ მანამდე განცხადება გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“, როცა თქვა, რომ არანაირი ვადამდელი არჩევნები არ იქნება და არანაირი პოლიტპატიმრები არ არსებობენ. ანუ მკაფიოდ განსაზღვრა, რომ არის თემები, რომელსაც არც კი განვიხილავთ. კი ბატონო, ვილაპარაკოთ საარჩევნო სისტემაზე, რეფორმებზე, მაგრამ არანაირი პატიმრების განთავისუფლება და არანაირი ვადამდელი არჩევნები. ამ ფონზე უკვე მოყვა გუშინდელი განცხადება ოპოზიციისა, სადაც ასევე განსაზღვრულია წითელი ხაზები, რომ მხოლოდ ვადამდელ არჩევნებსა და პოლიტპატიმრების განთავისუფლებაზე იქნება ჯერ საუბარი. ძალიან უცნაურია, მოლაპარაკებების წინ განცხადებების გაკეთება. ამ განცხადებით ოპოზიციამ გაყიდა თავის თავი.

***– რას გულისხმობთ?***

– მათ არ სჯერათ დანიელსონის. მე ასე წავიკითხე. როგორც ჩანს, ოპოზიცია ფიქრობს, თუ წინასწარ არ დათქვამენ პირობას, შესაძლოა, დანიელსონმა შემოგვაპაროს „ქართული ოცნების“ პოზიციები და მერე გვიან იქნება ლაპარაკი, რატომ არ ვღებულობთ მას. მათ წინასწარ თქვეს თავის პირობები. ეს არასწორია, როგორც წესი, ასე მოლაპარაკებებზე არ მიდიან. შესაძლოა, მათ პირობები ჰქონდათ, მაგრამ აუცილებელი არ იყო ამის გაჟღერება. ოპოზიციამ ეს გააკეთა ხელისუფლების საწინააღმდეგოდ, რომ ჩვენ ამ ხალხს არ დაველაპარაკებით გარდა ამ თემებისა.

***– როდესაც ორივე მხარე ულტიმატუმებით მიდის მოლაპარაკების მაგიდასთან, ასეთ მოლაპარაკებას ექნება შედეგი?***

– მე ეჭვი მეპარება, რომ შედეგი ჰქონდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარემ რამე დათმო, გამოვა, რომ დამარცხდა. ჩვენდა საუბედუროდ, ქართველი საზოგადოების პოლიტიკური ნაწილი დიდი ხანია ასე იქცევა. ბოლო 30 წელია, რაც მე ამას ვუყურებ. არასოდეს არ მიდიან კომპრომისზე, კომპრომისი ითვლება სისუსტედ, უკან დახევად.

***– მათი რქების ჭიდილისას ქვეყანა რომ ზარალდება?***

– ვაიმე, ვინ ფიქრობს ქვეყანაზე. ქვეყანაზე საერთოდ არავინ ფიქრობს ამ პოლიტიკური ძალებიდან. მე კი ამ ყველაფერს ვუყურებ 30 წელია.

### „გახარია შექმნის მეორე ცენტრს თვითონ „ქართულ ოცნებაში“

ეს არის კეკლუცობა დანიელსონის წინ. შენ კი ჩამოდიხარ, მაგრამ გინდ ჩამოსულხარ და გინდ – არა. ჩვენი პოზიციები შეუპოვარია.

***– როგორც ვიცით, „სტრატეგია აღმაშენებელი“ გაემიჯნა ოპოზიციის ამ ერთობლივ განცხადებას. იქნებ გამოჩნდნენ კიდევ საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები?***

– რესპუბლიკური პარტიაც გაემიჯნა. არ იყო საჭირო ასეთი განცხადებები, შენი პრინციპულობა ვადამდელ არჩევნებზე, სულაც არ არის საჭირო, რომ წინასწარ გაამჟღავნო და ამით ჩაკეტო მოლაპარაკებების შესაძლებლობა. იქნებ მოდის მეორე მხარე ამაზე?! შენ რომ წინასწარ ამას ამბობ, მას აიძულებ, დამარცხებული გამოვიდეს მოლაპარაკებებიდან. არც ერთ მხარეს არ აკმაყოფილებს კომპრომისი, ორივე მხარის მიზანია, რომ მეორე მხარე დამარცხებული გამოვიდეს და ამით საკუთარი ამომრჩევლის გული მოიგონ. ეს გამანადგურებელი აზროვნებაა, ანტისახელმწიფოებრივი! იმის ნაცვლად, რომ მხარეები ერთმანეთს დაეხმარონ, რომ დამარცხებულები არ გამოჩნდნენ და ისე მიაღწიონ თავის მიზნებს, ისინი წინასწარ გეგმავენ ერთმანეთის დამარცხებას.

***– ბატონო პაატა, ხელისუფლებას ალბათ იმიტომ აქვს დიდი გული, რომ არც ევროპამ და არც ამერიკამ არ აღიარა საქართველოში არჩევნების გაყალბება. იყო დარღვევები, მაგრამ არ გაყალბებულაო. ეს აძლევს ალბათ ხელისუფლებას იმის საბაბს, თქვან, რომ ვადამდელი რატომ უნდა ჩავატაროთო.***

– კი, რა თქმა უნდა. მეც სულ მაგას ვამბობდი, რომ ვადამდელზე გამორიცხულია ლაპარაკი. ხალხს უნდა მოეთხოვა, ხალხი უნდა გამოსულიყო, მაგრამ არ გამოვიდა. ხელისუფლება ვერანაირ კრიზისს და დისკომფორტს ვერ გრძნობს. აკეთებს იმას, რაც მას უნდა. არანაირი პრობლემა პარლამენტში არა აქვთ, არანაირი პრობლემა პრეზიდენტთან ურთიერთობაში არა აქვთ. არც პროკურატურაში ექმნებათ პრობლემები და არც სასამართლოში. ბურთიც მათია და მოედანიც. „ოცნება“ კომფორტშია.

***– ოპოზიცია დაზარალდა?***

– სახელმწიფო ზარალდება, თორემ ოპოზიციას ვინ ჩივის. ოპოზიცია შევა პარლამენტში თუ გარეთ დარჩება, ხელისუფლება მაინც მომგებიან სიტუაციაშია. ოპოზიციამ დიდი შეცდომა დაუშვა, არ შევიდა პარლამენტში, არ დაიწყო ბრძოლა მეორე ტურისათვის. არ შევიდნენ, ყველაფერზე უარი თქვეს და ყველაფერი დაკარგეს. ახლა კიდევ მეორე შეცდომას უშვებენ, რომ არ მიდიან და არ ლაპარაკობენ ადგილობრივ არჩევნებზე. გაიხსენონ, რომ თავის დროზე, შევარდნაძის ხელისუფლების რღვევა დაიწყო ადგილობრივ არჩევნებზე. არ ჩანს, რომ ოპოზიცია ემზადებოდეს ადგილობრივი არჩევნებისთვის. ხელისუფლება კი დიდ სამზადისშია. აქტიურად მიმდინარეობს ავტობანის მშენებლობა. ყველაფერს თავის სასიკეთოდ დაიწერს „ოცნება“.

***– ასევე, კიდევ ერთი საინტერესო პოლიტიკური პროცესი დაიწყო. გიორგი გახარია გააქტიურდა, განაცხადა, რომ არსად არ მიდის და რჩება აქტიურ პოლიტიკაში. რა პროცესებს ელოდებით?***

– გახარია უკვე საკმაოდ აქტიურია. დააკვირდით, მისმა ორმა მარჯვენა ხელმა, კახა ქემოკლიძემ და ნათია მეზვრიშვილმა, უკვე გააკეთეს პოლიტიკური განცხადებები. ქემოკლიძემ განაცხადა, რომ ჩვენ ამერიკელებს ვკარგავთ და ამერიკელები შეგვიწყვეტენ დაფინანსებას, ხოლო მეზვრიშვილმა განაცხადა, რომ მელიას დაპატიმრების აუცილებლობა არ იყო. ორივე განცხადება იყო პოლიტიკური და ოპოზიციური ჭრილიდან გაკეთებული. აშკარად ძლიერდება „ოცნების“ შიდა ფლანგი. გახარია არ შექმნის მესამე ცენტრს, გახარია შექმნის მეორე ცენტრს თვითონ „ქართულ ოცნებაში“ და არ გაუშვებს „ქართული ოცნების“ ხმებს გარეთ.

***– ანუ ბიძინას პროექტია გახარია?***

– არა, მე არ მგონია, რომ გახარია ბიძინას პროექტი იყოს. სამი ვარიანტი აქვს გახარიას წამოწყებას. ერთია, რომ ის არის პატრიოტი ადამიანი და როგორც თავის დროზე, სააკაშვილი წამოვიდა შევარდნაძისგან, ისე ქმნის ახალ ცენტრს გახარია „ქართული ოცნების“ სივრცეში. თუმცა, სააკაშვილისგან განსხვავებით, ის კი არ დაარტყამს ივანიშვილს, როგორც სააკაშვილმა დაარტყა შევარდნაძეს, არა, გახარია ივანიშვილს არ შეეხება, არ ახსენებს საერთოდ.

***– ვის აწყობს საუბარი იმაზე, რომ გახარია ბიძინას კაცია, „ოცნებას“?***

– ამაზე აქტიურად დაიწყებს საუბარს კობახიძის ფრთა. წულუკიანმა უკვე გააკეთა განცხადება, რომ გახარია, ეს იქნება კონსტრუქციული ოპოზიციაო. წულუკიანმა უკვე დაარტყა გახარიას, მისი დისკრედიტაცია მოახდინა. ეს ჩვენი კაციაო, ასე გამოუვიდა. წულუკიანმა ჭკვიანური სვლა გააკეთა, მიზანმიმართულად დაარტყა. ამას გააგრძელებს კობახიძის ფრთა, რომ გახარია ჩვენია. მეორე ვარიანტი არის ის, რომ გახარია არის ივანიშვილის პროექტი, რისაც მე არ მჯერა. მესამე ვარიანტით კი, გახარია არის რუსეთის პროექტი. ეს ვარიანტიც აქტიურად განიხილება. მე არ მინდა ამის მჯეროდეს, თუმცა შესაძლოა, ეს რეალობა იყოს. მე ნაკლებად მჯერა რუსული პროექტების, ყველაფერი მაინც ქართული მანკიერების ბრალი მგონია. თუმცა, ეს მაინც არ უნდა გამოვრიცხოთ. თუკი გახარიაზე იტყვის ვინმე, რომ რუსული პროექტია, მაშინ ჯერ ის უნდა თქვას, რომ სააკაშვილი იყო რუსული პროექტი. შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, სააკაშვილი უფრო მეტადაა რუსული პროექტი. სწორედ მან ჩააბარა ჩვენი ტერიტორიები რუსეთს. გინება არ ნიშნავს ანტირუსულობას, პირიქით, ამით შესაძლოა მის საქმეს აკეთებდე და ეს დაამტკიცა ნაციონალურმა მოძრაობამ. მოკლედ, სამივე ვარიანტს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ მე მაინც მჯერა პირველი ვარიანტის, ვიდრე არ დამტკიცდება სხვა ვარიანტები.

***– გახარია მიიღებს მონაწილეობას ადგილობრივ არჩევნებში?***

– შესაძლოა არ მიიღოს და დაელოდოს, სიტუაცია როგორ შემობრუნდება. შიდა დინებებს დააკვირდება. გახარიას თავის ხალხი ჰყავს, მან წასვლამდე დანიშნა თავისი გუბერნატორები. გახარია აშკარად მზადდებოდა ადგილობრივი არჩევნებისათვის, მაგრამ მერე მელიას გამო წასვლა მოუწია. შესაძლოა, დაელოდოს, ძალთა ბალანსი როგორ გადანაწილდება და მერე გააქტიურდეს. დღეს სამი თავი აქვს ამ ბაყბაყდევს, სახელად „ქართული ოცნებას“. ეს არის კობახიძე და მისი გუნდი, ეს არის გახარია, რომელიც ჯერ ჩრდილშია, მაგრამ მისი ყურები უკვე ჩანს და მესამე, ეს არის კახა კალაძე, რომელიც დღეს ჩუმადაა და საავადმყოფოშია. ღმერთმა კარგად ამყოფოს, თუმცა არაფერი კატასტროფული არ ჭირს.

***– ეს ტაქტიკური სვლა ხომ არ არის კალაძის მხრიდან და გამიჯვნას ხომ არ ცდილობს „ოცნებისგან“?***

– ბევრი კითხვა გააჩინა ამ შემთხვევამ. როგორც წესი, ახალგაზრდა პოლიტიკოსები თავის ავადმყოფობაზე არ ლაპარაკობენ, იმიტომ, რომ ეს აძლიერებს ოპოზიციას. პოლიტიკოსები, მით უმეტეს, ხელისუფლებაში მყოფნი, არ ლაპარაკობენ საკუთარ ავადმყოფობაზე და მე ძალიან გამაკვირვა კალაძის განცხადებებმა.

***– თანაც განსაკუთრებული არაფერი ჭირსო...***

– ჩემი აზრით, ის ამ მიზეზით გაემიჯნა დღეს არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას და პოლიტიკურ გარჩევებს. ამით თქვა, რომ არც გახარიასი ვარ და არც კობახიძისო. გაირინდა ადგილობრივი არჩევნების წინ. ამ ოპოზიციას კი არ ესმის, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ეს არჩევნები. შეიძლება ითქვას, რომ კალაძე, ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალია საქართველოში, მას საკმაოდ დიდი ამომრჩეველი ჰყავს როგორც იმერეთში, ისე თბილისში და ისე ქვემო ქართლში. გახარიას თავის ამომრჩეველი ჰყავს სამეგრელოში. მისია გუბერნატორები. გახარია, ასევე, აზის ზემოდან ძალოვან უწყებებს. გახარია ფლობს ბერკეტებს, მართოს სიტუაცია ადგილობრივ არჩევნებზე. კობახიძე რომელ რეგიონშია ძლიერი? ერთადერთი რეგიონი ეს არის ივანიშვილის თავი.

***– ანუ?***

– ანუ, კობახიძე ვერ მოიტანს ვერანაირ ხმებს, ვერც ერთი რეგიონიდან. რჩება კახეთი და იქაც ღარიბაშვილია. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ გახარია ადგილობრივ არჩევნებს გარედან დააკვირდება და თუ თავისი ხალხი დიდი რაოდენობით მოიყვანა, აი მერე გამოვა ჩრდილიდან. აი ამ შემთხვევაში ვფიქრობ, რომ კალაძე-გახარიას ალიანსი გარდაუვალი იქნება! ეს იქნება ორი დადებითი და პოპულარული ფიგურა. სერიოზული მინუსები არც ერთს არ აქვს. თავისი გადადგომით, გახარიამ გაასუფთავა საკუთარი წარსული. ამიტომ 2024-ისთვის დიდი ალბათობით ვიხილავთ გახარია-კალაძის ტანდემს. როგორც კი ჩაივლის ადგილობრივი არჩევნები, მაშინვე გააქტიურდებიან. არც ის არის გამორიცხული, რომ კალაძემ სწორედ ამ ავადმყოფობის მიზეზით უარი თქვას მერობაზე. მისი კანდიდატურა, როგორც ვიცით, შიგნით ისედაც აღარ განიხილება. მოკლედ, საინტერესო პროცესები გველის. ეს ადგილობრივი არჩევნები ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია. ოპოზიციას კი ეს არ ესმის, რაც ძალიან ცუდია.

# ნათია მეზვრიშვილი: „მელიას დაკავების აუცილებლობა არ იყო“



– შეიძლებოდა საერთოდ აღკვეთის ღონისძიების გარეშე ბრალდებულის დატოვება და ამისი ბერკეტები, მე ვთვლი, რომ მართლმსაჯულების ორგანოებს ჰქონდათ.

ამის შესახებ მთავრობის ადმინისტრაციის ყოფილმა უფროსმა ნათია მეზვრიშვილმა „ტვ პირველთან“ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის ნიკა მელიას დაპატიმრების საქმესთან დაკავშირებით განაცხადა.

მან ამასთანავე, აღნიშნა, შესაბამის ორგანოებს შეეძლოთ კანონი სხვაგვარად განემარტათ და მელიას დაკავებით გამოწვეული დამაზიანებელი პროცესები ქვეყნისთვის თავიდან აეცილებინათ.

– მე ვთვლიდი, რომ შეეძლოთ შესაბამის ორგანოებს და დღესაც ასე ვთვლი, კანონი სხვაგვარად განემარტათ და ჩვენ თავიდან აგვეცილებინა ის პროცესები, რაც მივიღეთ და თავიდან აგვეცილებინა ის დამაზიანებელი პროცესები ქვეყნისთვის, რომელიც ერთი ბრალდებულის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმეს მოჰყვა.

შეიძლებოდა საერთოდ აღკვეთის ღონისძიების გარეშე ბრალდებულის დატოვება და ამისი ბერკეტები, მე ვთვლი, რომ მართლმსაჯულების ორგანოებს ჰქონდათ და ამისი შესაძლებლობა, ვთვლი, რომ დღესაც არსებობს, – განაცხადა მეზვრიშვილმა.

# შინაგან საქმეთა მინისტრი იაპონიის ელჩს შეხვდა



შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა საქართველოში იაპონიის ახლად დანიშნულ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, აკირა იმამურასთან.

ვახტანგ გომელაურმა ელჩს სამომავლო საქმიანობაში წარმატება უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ მისი ხელშეწყობით, მხარეთა შორის არსებული თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

მინისტრმა იაპონიის მხარეს სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე ვახტანგ გომელაურმა ხაზი გაუსვა სამინისტროს თანამშრომლობას საქართველოში იაპონიის საელჩოსთან, ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის ფარგლებში, რომლის ერთ-ერთ ბენეფიციარს წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსთან (ჟიჩა) აქტიური თანამშრომლობით, მუდმივ რეჟიმში ხდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლების გადამზადება კატასტროფების რისკების შემცირების მიმართულებით.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა სამომავლო ურთიერთობის პრიორიტეტული მიმართულებები დასახეს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაციონალურ მოძრაობას მოლაპარაკება არ უნდა“

## გიგლა ბარამიძე: „მალე პოლიტიკურ სპექტრში სერიოზული ცვლილებები იქნება“

მარიამ მჭედლიშვილი

**მედიაციის გაგრძელებაზე, პოლიტიკურ სპექტრში მიმდინარე მოვლენებსა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ამ ეტაპზე დამოუკიდებელ პოლიტიკოს გიგლა ბარამიძეს.**

***– ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე მოლაპარაკებები მმართველი პარტიისა და ოპოზიციის მონაწილეობით გრძელდება. თქვენ რას იტყვით ამ პროცესზე?***

– ამ შემთხვევაში კითხვებს ვუპასუხებ, როგორც ნეიტრალური დამკვირვებელი, ანალიტიკოსი. ისე, პოლიტიკიდან არსად წავსულვარ. გამოვხატავ პატივისცემას ევროკავშირის, ყველა ევროპული სტრუქტურის მიმართ. ამასთან, არ შემიძლია, ტაშისკვრით შევხვდე იმას, რაც ხდება. ის, რომ ევროკავშირი (შარლ მიშელის პირადი წარმომადგენელი დანიელსონი) იძულებულია ჩაერთოს საქართველოს შიდა პოლიტიკაში, საშინაო პრობლემების მოგვარებაში, ეს არის საქართველოს სირცხვილი. ევროპა ჩვენი მოკავშირეა, ჩვენ გვინდა ევროკავშირის წევრობა, ეს უდავოა. სიმახინჯე და არაჯანსაღია ჩვენი უსუსურობა და სხვაზე დამოკიდებულება.

***– ამის მიზეზი გახდა კრიზისი?***

– კრიზისი დიდი ხანია, წარმოიშვა. ახლა თითით საჩვენებელი ქვეყანა გავხდით. სამათხოვროდ გაგვიხდა საქმე. დამოუკიდებელი ქვეყანა თუ ხარ, მას უნდა მართავდე. ეს მოვლენები იმის მანიშნებელია, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაცია ფუყეა. პროცესების მართვის ბერკეტები ხელისუფლებას უპყრია, თუმცა ოპოზიციასაც აკისრია პასუხისმგებლობა. ნაციონალური მოძრაობა მიყვება პრინციპს – მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლია. ამ ძალას მოლაპარაკება არ უნდა. ეს ხელისუფლების ბრალიცაა. „ქართულმა ოცნებამ“ წლების წინ გაკრიფა შუა, პოლიტიკურ ველზე დააწინაურა ორი სუბიექტი და ახლაც ამ მოდელს მისდევს.

***– სხვა პოლიტიკური სუბიექტები ისევ იჩაგრებიან?***

– რასაკვირველია. აბა, რა სახელი უნდა დავარქვათ ტელევიზიების აბსოლუტურ უმრავლესობაში ერთი და იმავე პოლიტიკოსების რეკლამირებას?! სადაც არ გადართავ, ყველგან ერთი და იგივე ჯგუფი – 8 თუ 9 პირია წარმოდგენილი. ამათ ტატყანს უსმენს საზოგადოება, რომელსაც ჯერ არ მობეზრებია ტელეარხების ყურება. ტელევიზიების ჟურნალისტები თავს არ იწუხებენ, რომ ცოტა დაფიქრდნენ და სხვა ხალხსაც ჰკითხონ აზრი.

***– იქნებ, ჟურნალისტებში არ არის საქმე?***

– თუ ცენზურაა, თუ სიები აქვთ შედგენილი, ვინ უნდა გამოაჩინონ ეკრანზე, მაშინ რატომ იბრალებენ, კრიტიკული დამოუკიდებელი მედია ვართო?! კრიტიკული და დამოუკიდებელი მედია 9 კაცით არ შემოიფარგლება. ეს მრავალჯერადი გამოყენების 9 პოლიტიკოსი ასწავლის საზოგადოებას ჭკუას. საზოგადოებას ეს მობეზრებული აქვს, ამ ვაიოპოზიციური პარტიების ნდობა კი ეცემა.

***– ენდიაის ბოლო კვლევის შედეგების თანახმად, „ქართულ ოცნებას“ 23% აქვს, ნაციონალურ მოძრაობას – 7%.***

– ენდიაის მიერ გამოქვეყნებულ პოლიტიკურ რეიტინგებს დიდად არასდროს ვენდობოდი. სამაგიეროდ, ნაციონალური მოძრაობა და ყოფილი ნაციონალები ამ ციფრებს გვიფრიალებდნენ წინ. ადრე ამ კვლევების შედეგი მოსწონდათ, ახლა კი აღარ აკმაყოფილებთ. ნაციონალური მოძრაობა იმის ნახევარსაც ველარ აიღებს, რაც წინა არჩევნებზე მიიღო. საზოგადოებას ყელში ამოუვიდა ნაციონალური მოძრაობის წევრების ფსევდოტრაგიკული სახეები, ყალბი ეროვნულობა და ადამიანის უფლებების დამცველობა. განსაკუთრებით ცინიკურია იმათი ლაყბობა, ვინც თვითონ ემსახურებოდა საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების გამწარებას და ყველანაირ წამებას. ეს ყველაფერი მოიტანა შუას გაკრეფამ. ახლა ბატონ დანიელსონთან მოლაპარაკებებზე სხედან. სამწუხაროა, რომ ამ მოლაპარაკებებში მარტო ბარიერგადალახული ოპოზიციაა წარმოდგენილი.

***– გგონიათ, რომ წრე ფართო უნდა იყოს?***

– დიახ. ამ მოლაპარაკებებში არ ჩანს საქართველოს საზოგადოების პოზიცია. მონაწილეების წრე ფართო უნდა იყოს. რახან ევროკავშირი იძულებულია ამაში ჩაებას, შეხვედრებზე მარტო ბარიერგადალახული ოპოზიცია არ უნდა დადიოდეს. არ შეიძლება, ყველგან იყვნენ ნაციონალები და ახლად წამოჩიტული პოლიტიკოსები.

***– ვადამდელი არჩევნები რეალურია?***

– ვადამდელ არჩევნებზე დაახლოებით იგივე შედეგი დაიდება, ოღონდ, ნაციონალური მოძრაობა ბევრად ნაკლებს მიიღებს. ამ სალახანებმა თავი სრულად გამოავლინეს. ხომ ცხადია, რომ სააკაშვილს უნდა ძალაუფლების ხელში აღება ნებისმიერი მეთოდით.

***– უკრაინაში ბევრი თვლის, რომ სააკაშვილის საქმე წასულია. დაჭერასაც რომ გადაურჩეს, მას საქმეებს ჩამოაცილებენ. იქ იძიებენ უკრაინის რკინიგზაში გამქრალი 450 მილიონი გრივნის ამბავს. ამ საქმეში ფიგურირებენ სააკაშვილის გუნდის წევრები. მათ შორის, ირაკლი ეზუგბაია და გიზო უგულავა.***

– სააკაშვილი გარეულია ასევე ოდესის პორტის გაფლანგვაში. საქართველოში მის მიმართ წამოყენებულ ბრალდებებზე აღარაფერს ვიტყვი. ამ პირობებში სრულიად გაუგებარია, როცა ზოგიერთი უცხოელი მოითხოვს მოლაპარაკებებში სააკაშვილის ჩართვას.

***– ამას ვისზე ამბობთ?***

– ლიეტუველი ევროდეპუტატი რასა იუკნავიჩენე მოითხოვს სააკაშვილის ჩართვას მოლაპარაკებებში. ეს არის სრული უვიცობა და არაკეთილსინდისიერება. ეს ქალბატონი თავდაცვის მინისტრი რომ იყო, ამბობდა, რომ საქართველო უნდა შევიდეს ნატოში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე. ასეთ პირებს პოლიტიკოსებსაც ვერ უწოდებ კაცი. ესენი არიან გრანტებს დახარბებული აქტივისტები. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს და შეცვალოს პოლიტიკა.

***– კერძოდ?***

– ხელისუფლებისთვის მთავარი ამოსავალი უნდა იყოს არა ნაციონალური მოძრაობა და გრანტებს გამოკიდებული პირების აზრები, არამედ, ქვეყნის ინტერესები და საქართველოს საზოგადოების შეხედულებები.

***– ნაციონალური მოძრაობის მიმართ გარედან დამოკიდებულებაზე რას იტყვით?***

– ბოლო დროს აშკარად გამოჩნდა, რომ დასავლეთის გავლენიანი წრეები აკრიტიკებენ სააკაშვილს და ნაციონალურ მოძრაობას. ეს ჯანსაღი პოზიციაა. „ქართულ ოცნებას“ რომ თავიდანვე კოჰაბიტაცია არ გამოეცხადებინა, ის დასავლეთს დეტალურად გააცნობდა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების ნამდვილ ბუნებას. მარტო წამების ამსახველი ფაილების ჩვენება იქონიებდა გავლენას მოვლენებზე. „ოცნებას“ კოჰაბიტაცია ბუმერანგად მოუბრუნდა.

***– ზოგი თვლის, რომ „ოცნებას“ გახარია მოუბრუნდება ბუმერანგად. გიორგი გახარია უბრალოდ კი არ მოიაზრება ახალი გაერთიანების, ანუ ე. წ. მესამე ცენტრის ლიდერად, მას ყველანაირად აპიარებენ. ამჟამად მისი ბამბაც ჩხრიალებს.***

– პიროვნულად არ ვაკრიტიკებ. პრემიერობისას გახარიას საზოგადოებისთვის კარგით თავი არ დაუმახსოვრებია, თუ თვალის ჩაკვრას არ ჩავთვლით. საზოგადოების მხრიდან გადამეტებული ქება-დიდება უკავშირდება ჩვენს კერპთაყვანისმცემლობას. მართლმადიდებლები ვართ, მაგრამ პოლიტიკაში კერპები გვიყვარს. აიჩემებენ რომელიმე პირს და შეიყვარებენ. ახლა გახარია შეიყვარეს. მის გარემოცვაზე ის შემიძლია ვთქვა, რომ მის გუნდში არიან სააკაშვილის ყოფილი პროკურორები. მაგალითად, მეზვრიშვილი.

***– გახარიას გარედანაც ეხმარებიან.***

– ეს ჩვენი პოლიტიკური ინსტიტუტების სისუსტის ბრალია. როცა სუსტი ინსტიტუტები გაქვს, ყველა ცხვირს ჩაგიყოფს ყველაფერში. როცა ასეა, შეიძლება პარტია შეგაქმნევინოს ჩრდილოეთმა, დასავლეთმა, სამხრეთმა და აღმოსავლეთმა. შენ უნდა იყო შენი ქვეყნის პატრონი, თორემ სხვა გამოიყენებს საქართველოს გეოსტრატეგიულ დანიშნულებას. ეს ისტორიული კანონზომიერებაა. თუ სხვას შეეძლევი, თუ იტყვი, რომ სხვამ უნდა გაჭამოს, დაგბანოს და დაგიცვას, ისიც არ დააყოვნებს. საუბედუროდ, ჩვენი საზოგადოების ცნობიერება იმაზეა აგებული, რომ სხვამ უნდა მოუაროს.



***– ადამიანები გამოთქვამენ სურვილს, რომ პოლიტიკაში იყოთ. მომისმენია აზრი, რომ პოლიტიკას გიგლა ბარამიძისთანა პატიოსანი და კომპეტენტური ხალხი ესაჭიროება. რას აპირებთ?***

– მადლობა ყველას კომპლიმენტისათვის. პოლიტიკიდან არ წავსულვარ. უბრალოდ, ცხოვრების ამ ეტაპზე ვარჩიე პარტიის დატოვება. ამ ეტაპზე დამოუკიდებელი ვარ. ხალხი შეხვედრისას ან წერილობით მეც მეკითხება ჩემს გეგმებზე. სიმართლე გითხრათ, არ მაქვს სურვილი, გავერიდო პრობლემებს და არ ჩავერიო, თუ ვინმე ქვეყანას საჯიჯგნად გახდის. ჩემი მომავალი გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოებას ეცნობება.

***– იმედია, ჩვენც გვეტყვით.***

– თქვენ ერთ-ერთი პირველი იქნებით, ვისაც ჩემს გეგმებს შევატყობინებ.

***– თქვენი პროგნოზები ხდება. ბიძინა ივანიშვილი მიდის და პარტიას კობახიძეს უტოვებსო, ამ მოვლენამდე რამდენიმე თვით ადრე გვითხარით ინტერვიუში. მაშინ ამაზე არავინ საუბრობდა. მომავლის პროგნოზს ახლაც გააკეთებთ?***

– მალე პოლიტიკურ სპექტრში სერიოზული ცვლილებები იქნება. მოხდება დიდი გადაჯგუფებები. ოდიოზური, ბინძური საქმეების მკეთებელი ხალხის დრო მთავრდება. ბევრმა რეპუტაციაშერყეულმა პოლიტიკოსმა ეს იცის. გრძნობენ, რომ ძველი პერიოდი ფინალისკენ მიდის. ამიტომ, ისინი ცდილობენ, როგორმე (მაგალითად, ვადამდელი არჩევნების გზით) ცხვირი შეყონ პარლამენტში და იქ გააგრძელონ პარაზიტული ცხოვრება. ძვრები გველის. დღეს ამ პროგნოზით შემოვიფარგლები.

# „ეროვნულ ბანკს ფუნქციები უნდა ჩამოერთვას“

## ნიკა შენგელაია: „ლარის გაუფასურებას ხან ვაქცინას დააბრალებენ და ხან ყვავის ჩხავილს“

იაგო ნაცვლიშვილი

**ლარი ისევ გაიქცა და მისი გაუფასურება გრძელდება ყოველდღიურად. სავალუტო ჯიხურებში ამ დროისთვის 1 დოლარის ღირებულება 3.37-3.39 ლარია, რაც პირდაპირ აისახება ხალხის ჯიბეზე, ვინაიდან ლარის გაუფასურებას თან სდევს ინფლაციაც. სადამდე შეიძლება წავიდეს ლარი, ეს არის მოკლევადიანი გაუფასურება თუ მხედველობაში უნდა მივიღოთ, როგორც გრძელვადიან პერსპექტივად და ვისი პასუხისმგებლობაა არასტაბილური ეროვნული ვალუტა? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ეკონომისტი ნიკა შენგელაია საუბრობს:**



***– ლარი ისევ გაიქცა და ვხედავთ, რომ ყოველდღიურად უფრო და უფრო ზემოთ მიიწევს. რამდენად მართვადია პროცესი და სადამდე შეიძლება წავიდეს?***

– ლარის გაუფასურება 25 მარტიდან თვალშისაცემი რომ იქნებოდა, ამის შესახებ ჩვენ განცხადება ორჯერ გვქონდა გაკეთებული – 3 თვის და 1 თვის წინ. სიტუაცია მართვადია და ინტერვენცია განახორციელეს, თუმცა ამაზე ჩვენ რეკომენდაცია 3 თვის წინ მივეცით, რომ უნდა გამოეყენებინათ მოცულობითი ინტერვენცია და მოცულობითი ინტერვენციები ინექციის სახით. ჯერჯერობით 120 მილიონამდეა დახარჯული. ჩვენ ასე ვფიქრობთ, რომ ამ წლის განმავლობაში 950 მილიონის დახარჯვა მაინც მოუწევს და იმედია, რომ დროულად გააკეთებს ამას ეროვნული ბანკი და არ დაელოდება ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მოხვდეს ლარის კურსი. ვფიქრობდით, რომ პარასკევს მოხდებოდა ინტერვენცია, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და ამიტომ გაიქცა კურსი ასე.

***– ანუ, ელოდებით, რომ მოსახლეობაში ემოციური ფონიც იქნება, მიაწყდებიან სავალუტო ჯიხურებს და ეს კიდევ უფრო მეტ ზეგავლენას მოახდენს?***

– როდესაც ლარი იწყებს გაუფასურებას, ემოციური ფონი ყოველთვის იქმნება და ზეგავლენა ხდება. ვისაც საშუალება აქვს, ყიდულობს დოლარს, ან ნაწილ-ნაწილ მაინც იყიდოს, რომ სესხის პროცენტი დაფაროს ბანკში, რომელიც დოლარში აქვს აღებული. ან უბრალოდ შეინახოს. იმიტომ, რომ შიში აქვს, რადგან ლარს გაფუჭებული აქვს იმიჯი და ეს იმიჯი სწორედ ეროვნულმა ბანკმა გაუფუჭა უყურადღებობით. აქედან გამომდინარე ლარის კურსი პირდაპირ მიბმულია საქონლის ფასებსა და მომსახურების ფასებზე, ამიტომ უყურადღებობა არ აქვს.

კი ბატონო, ეროვნული ბანკი ამბობს, რომ იურიდიულად არ აქვს ვალდებულება, რომ ლარის კურსს უყუროს, მაგრამ აქვს ვალდებულება, რომ უყუროს საქონლის ფასებსა და ინფლაციას. მაგრამ ამასაც ვერ ხედავს. 2010 წლიდან დღემდე 120%-ზე მეტად არის გაზრდილი სამომხმარებლო ინდექსი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ 2010 წელს საქონელი ღირდა ლარი, დღეს ის 120-ჯერ ძვირი ღირს. ფაქტობრივად, ეროვნული ბანკი თავს ვერ ართმევს თავის ფუნქციას.

***– საუბრობთ ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობაზე, მაგრამ რა პასუხისმგებლობაა მის წინაშე?***

– ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობა ქვეყანაში ძალიან დიდია. ეროვნული ბანკი არის ინსტიტუტი, რომელიც თავკომბალა ინსტიტუციაა. მას აბარია საბანკო სექტორი, საკასაციო ზედამხედველობა, ფასიანი ქაღალდის მარეგულირებლის როლი და ზედამხედველობა, არც ერთ ქვეყანაში ასე არ ხდება, რომ ფასიანი ქაღალდი უნდა იყოს მიბმული მასზე.

***– ანუ ეროვნული ბანკის რეფორმირებაა საჭირო?***

– ეროვნულ ბანკს უნდა ჩამოერთვას ამდენი ფუნქციები. საჭირო არ არის ამდენი ფუნქცია. მხოლოდ რამდენიმე ფუნქცია შეიძლება დარჩეს მას. ეროვნული ბანკია ქვეყანაში ფულად საკრედიტო პოლიტიკის განმსაზღვრელი, მის ხელშია რა რაოდენობის ფული შეუშვას ეკონომიკაში ან ამოიღოს. როგორც ადამიანის ორგანიზმს სჭირდება სისხლი ფუნქციონირებისათვის, ასევე სჭირდება ეკონომიკას ფული ფუნქციონირებისათვის. ეკონომიკისათვის ფული არ არის ფუფუნების საგანი, არამედ ეკონომიკის ამამუშავებელი მთავარი ინსტრუმენტია. ამიტომ, თუ რამე ხდება ეკონომიკაში და ფულია შემაფერხებელი, ეს ეროვნული ბანკის გამო ხდება.

***– კობა გვენეტაძემ გვითხრა, რომ ვაქცინა ეკონომიკური პრობლემებისთვის გადასალახად აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი პირობააო. ეს განცხადება როგორ უნდა გავიგოთ?***

– ახლა ხან ვაქცინას დააბრალებენ და ხან ყვავის ჩხავილს. იყო პერიოდი, როდესაც თურქული ლირის გაუფასურებას აბრალებდნენ. არაფერ შუაში არ არის ვაქცინა. ეკონომიკა ასამუშავებელია, კომენდანტის საათი თუ მაინც უნდა დარჩეს, აუცილებელია მისი გადატანა 2 ან 3 საათით. ამას ნიშნავს ეკონომიკის გახსნა. ბიზნესი ფორმალურად არის გახსნილი, რეალურად ამუშავებული არ არის. თუ არ ამუშავდა კიდევ უფრო ვალებში ჩავარდება ბიზნესი.

სამწუხაროა, რომ კობა გვენეტაძე ინარჩუნებს მაღალ რეფინანსირების განაკვეთს. პრობლემაა, რომ არ ხდება დედოლარიზაცია. ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ მას, რომ თუ ებრძვის დოლარიზაციას, ადგეს და კეთილი ინებოს და ანაბრების სარგებელი დოლარში დაწიოს წლიურ 1%-მდე. ანუ ხალხს, ვისაც დოლარებში აქვს ფული შენახული ბანკში, მაქსიმუმ 1% იყოს. ეფექტიანი ბრძოლა ეს იქნება.

***– დოლარში აღებულ სესხებს რაც შეეხება, პროცენტი იგივე უნდა დარჩეს?***

– იყო პერიოდი, როდესაც გაკეთდა გალარება, მაგრამ შეჩერდა. ჩაიშალა ეს პროექტი.

***– ლარიზაციით მხოლოდ სირთულეებს ვხედავ მე, როგორც მომხმარებელი და რამე უკეთესობისკენ შეიცვალა? მაგალითად, თუ ბინის ყიდვა გინდა, ისევ დოლარშია ფასები, უბრალოდ, შესაბამისი კურსით ლარებში იხდი. შინაარსის მხრივ რა შეიცვალა?***

– სამწუხაროდ, დღევანდელ კურსს რომ შეხედოთ, გადაანგარიშებული აქვთ 3.5-ზე და არა 3.37-ზე. ეს სიმახინჯეა და საერთოდ მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომ მორჩეს დოლარზე გადაანგარიშებით ფასების დადგენა. თუ ეს არ იქნება, ვერც მშენებლობა განვითარდება, ვერც მრეწველობა და ვერც ერთი სექტორი.

***– ლარის კურსის დღევანდელი გაუფასურება დროებითია თუ ამას შევხედოთ იმგვარად, რომ გრძელვადიანად ასე იქნება?***

– სამშაბათს და ოთხშაბათს რაც იქნება ლარის კურსი, იმაზე დაბალი იქნება ლარის კურსი 5 და 6 აპრილისთვის. რეფინანსირება რომ მოახდინეს, ამის გამოძახილია და პლუს ამას თვის ბოლოა და ხელფასები გაიზარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებზე და ეგ არის და მეტი არაფერი. ვფიქრობთ, რომ 5-6 აპრილისთვის ოდნავ დარეგულირდება.



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

# „ივანიშვილს „ოცნების“ ოპოზიციაში გადაყვანა სურს“

## რამაზ საყვარელიძე: „გახარიას „ქართული ოცნებაც“ და „ნაციონალური მოძრაობაც“ დაუპირისპირდება“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო რამაზ, აპრილის შუა რიცხვებში, ამბობენ, გიორგი გახარია პარტიას შექმნის. უკვე გუნდის წევრებიც სახელდებიან. „ქართულ ოცნებას“ ვერ გაურკვევია, რა ხდება, მოზომილ კომენტარებს აკეთებენ. როგორ ფიქრობთ, რა სტრატეგიას აირჩევს?***

– გახარიას ფიგურა ყურადღებას ყოველთვის იმსახურებდა, მაშინაც, როდესაც მინისტრი იყო და მაშინაც, როდესაც პრემიერი იყო. თუმცა, ეს ყურადღება გაორმაგდა, როდესაც თანამდებობიდან გადადგა. გადადგომის მიზეზს ვგულისხმობ, ნიკა მელიას ეპიზოდს. ყველას კარგად ახსოვს ის ფოტო, რომელმაც რამდენიმე ათასი ლაიქი მიიღო. ამ პირობებში, სავსებით ბუნებრივია, რომ გახარიამ უარი არ თქვას ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებაზე.

***– როგორი იქნება მისი დამოკიდებულება „ოცნების“ მიმართ? ბექა ოდიშარიამ უკვე თქვა, რომ გახარიას გაუჭირდება „ქართული ოცნების“***



***კრიტიკა, რადგან ის პრემიერი იყო და არა რიგითი წევრი.***

– სრულიად გასაგებია ეს პოზიცია, თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რადგან გახარიამ უკვე თქვა, რომ ის პოლიტიკაში ბრუნდება, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის „ქართულ ოცნებაში“ ბრუნდება. სრულიად გასაგები და ნათელია, რომ ის იქნება „ქართული ოცნების“ ოპოზიცია.

***– „ოცნებაში“ იმედი აქვთ, რომ ის კონსტრუქციული ოპოზიცია იქნება.***

– ვნახოთ.

***– ეს არის ივანიშვილის პოლიტიკური სვლა, გაწიროს ერთი ანუ „ქართული ოცნება“ და მოიყვანოს მეორე და ამით თავი გადაირჩინოს?***

– თვითგადარჩენას ვერ ვიტყოდი ადამიანზე, რომელსაც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შეუძლია ცხოვრება. რაც შეეხება იმას, რომ ის შეეცადოს გადაარჩინოს ის საქმე, რაც 2011-2012 წელს დაიწყო, ამას ნამდვილად არ გამოვრიცხავ. რა თქმა უნდა, ის შეეცდება შეცვალოს ის გუნდი, რომელიც მის მიერ დაწყებულ გზას წარმატებით ვერ გააგრძელებს. არ არის გასაკვირი, რომ მას სურდეს იმ გუნდის შეცვლა თუ ჩანაცვლება, რომელიც შედეგს ვერ დებს, რომელსაც ვერ მოაქვს წარმატება. მან ერთხელ უკვე იმოქმედა ასე, როდესაც კვირიკაშვილის პრემიერობის დროს პოლიტიკაში დაბრუნდა. მაშინ მან შეცვალა კვირიკაშვილიც და მისი კაბინეტიც.

***– ანუ ახლაც იგივე ხდება?***

– არ არის გასაკვირი თუ იგივე ხდება. პოლიტიკიდან წასვლის წინ გვითხრა, ვისურვებდი ისეთი პარტიის გაჩენას, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ოპოზიციაში გადაიყვანს. ივანიშვილის ეს ფრაზა „ოცნებისთვის“ სასიამოვნო არ უნდა ყოფილიყო. გახარია თუ პოლიტიკაში შემოვა, დაუპირისპირდება „ქართული ოცნებაც“ და „ნაციონალური მოძრაობაც“.

***– გახარია ყველაზე მეტად ვის წაართმევს ხმას?***

– რასაკვირველია, „ოცნებას“. „ნაციონალურ მოძრაობას“ თავისი ერთგული ამომრჩეველი ჰყავს. ამ არჩევნებზე „ოცნების“ მიერ აღებულ ხმათა უდიდესი უმრავლესობა გახარიაზე მოდის. რა თქმა უნდა, დღეს გახარიას პოლიტიკურ ველზე გამოჩენა ყველაზე მეტად „ქართულ ოცნებას“ არ აწყობს.

***– როგორ ფიქრობთ, რამდენად იქნება თვითმყოფადი ძალა თუ შეეცდება ოპოზიციაში იპოვის მოკავშირე?***

– თუ ოპოზიციის რიგებში დაიწყებს გახარია მოკავშირის ძებნას, ეს მას არაფერს მოუტანს. 5%-იანი ოპოზიცია ვერანაირი მოკავშირე ვერ იქნება გახარიასთვის. თუ დაიწყებს ოპოზიციაში მოკავშირეების ძიებას, მაშინ ის გარკვეულ ხმებს დაკარგავს. ეს იქნება გახარიასთვის წამგებიანი ნაბიჯი. თუმცა, ხშირად ისე ხდება, რომ რასაც არ ელოდები, იმას აკეთებენ ადამიანები. მაგალითად, „ლელოსგან“ მოლოდინი იყო, რომ ის მესამე ძალას, მესამე პოლიტიკურ ცენტს შექმნიდა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად ნაციონალებისკენ გადაიხარა. ეს აშკარად წამგებიანი ნაბიჯი იყო „ლელოსთვის“.

***– მარტო ბარიერის გადალახვა არ გაუჭირდება?***

– არა, არ გაუჭირდება. სოციოლოგიური კვლევები არ მინახავს გახარიასთან დაკავშირებით, მაგრამ ძალიან მაღალია ამომრჩევლის იმედგაცრუება არსებული პოლიტიკური სპექტრის მიმართ. ამიტომ, ეს დიდ შანს აძლევს გახარიას, რომ ბარიერი გადალახოს.



# „ოცნება“ ვადამდელს არ დათანხმდება, პლებისციტი შესაძლებელია“

## ნიკა ჩიტაძე: „სააკაშვილის სუსტი მხარეა შეურაცხყოფაზე გადასვლა“

### „არ ვეთანხმები, ეს მისი სუსტი მხარეა, შეურაცხყოფაზე გადასვლა არ შეიძლება“

იაგო ნაცვლიშვილი

**ევროპული საბჭოს პრეზიდენტის წარმომადგენელი კრისტიან დანიელსონი ისევ საქართველოშია. შვედი დიპლომატი დაპირისპირებულ პოლიტიკურ მხარეებს ისევ დასვამს მოლაპარაკებებზე, რამდენად მოახერხებს მედიატორი ამჯერად მაინც იმას, რომ მხარეებმა საერთო ენა გამონახონ, ესაა მთავარი კითხვა, რომელიც ჯერ უპასუხოდაა. იქამდე კი ევროპარლამენტში გაჩნდა მოსაზრება, რომ ყველაზე დიდი გავლენის მომხდენი სააკაშვილი და ივანიშვილი არიან, ამიტომ ისინი ჩაერთონ მოლაპარაკებებში. ეს მოსაზრება ევროპარლამენტარმა ანდრიუს კუბილიუსმა დააფიქსირა, რითაც მიხეილ სააკაშვილის კრიტიკის ობიექტიც გახდა. რა მოლოდინი აქვს მოლაპარაკებებისგან და რატომ თვლის, რომ პლებისციტის შესაძლებლობა არსებობს? რას ფიქრობს კუბილიუსის იდეაზე და ეთანხმება თუ არა მესამე პრეზიდენტს იმ ეპითეტებში, რაც მან კუბილიუსთან მიმართებაში გამოთქვა? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.**

***– დღეიდან განახლდება მოლაპარაკებები და ახალ ეტაპზეც მედიატორი ისევ დანიელსონი იქნება. რა მოლოდინი გაქვთ და ელოდებით თუ არა იმას, რომ შვედი დიპლომატი უკვე კონკრეტული წინადადებით ჩამოვა და მხარეებს პოზიციონირების დიდ შესაძლებლობას აღარ დაუტოვებს?***

– მე ასე მგონია, რომ ამ შემთხვევაში მაშინ ევროკავშირს უნდა ჰქონდეს რაღაცა პაკეტი, რომლითაც წარდგება როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციის წინაშე. მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა, რომ რაღაცა კონკრეტული შეხების წერტილი გამოინახოს. იმიტომ, რომ აქ ძალიან კარგად ჩანს, ხელისუფლება არ თანხმდება ვადამდელ არჩევნებს და, შესაბამისად, ვერანაირი შეთანხმება ვერ მიიღწევა. ამიტომაც რაღაც შეხების წერტილი უნდა მოიძებნოს.

კი, ბატონო, მუნიციპალური არჩევნების დროს გაიმართოს პლებისციტი და მოსახლეობამ გადაწყვიტოს, უნდა თუ არა ვადამდელი არჩევნები. ეს შესაძლოა იყოს ერთი ვარიანტი. გასაგებია, რომ ევროკავშირმა შეიძლება არ განაცხადოს, რომ ვითხოვთ ხელისუფლებამ ვადამდელი არჩევნები დანიშნოსო. ამიტომაც, შესაძლოა, ეს იყოს ერთ-ერთი ვარიანტი.

***– სხვათა შორის, გაჟღერდა კულუარულად, რომ შეთანხმება უკვე არსებობს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და ეს არის სწორედ პლებისციტთან დაკავშირებით და ასევე დასახელდა, რომ პოლიტპატიმრებზეც არსებობს შეთანხმება. რამდენად რეალურად გამოიყურება ეს?***

– პლებისციტი კიდევ შესაძლებელია. იმიტომ, რომ არა მგონია ხელისუფლება დათანხმდეს პირდაპირ ვადამდელ არჩევნებზე. იმიტომ, რომ ეს ხელისუფლების სისუსტედ შეიძლება წარმოჩინდეს იმ თვალსაზრისით, რომ ოპოზიციის ულტიმატუმს დათანხმდა. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ოპტიმალური გამოსავალია, რომ პლებისციტი ჩატარდეს. შესაძლოა ამაზე შედგეს შეთანხმება, მაგრამ მომავალს რაც შეეხება, შესაძლოა ეს შედეგებიც გააყალბოს ხელისუფლებამ. მის ხელთ არის ბერკეტები და თუ ეს იქნება მიღწეული, მაშინ სხვა საკითხებიც უნდა გადაწყდეს.

***– ეს შეთანხმება იმასაც ხომ გულისხმობს, რომ უნდა გატარდეს საარჩევნო რეფორმა თავისი საარჩევნო ადმინისტრაციის ცვლილებით და ა.შ.?***

– კი, საარჩევნო ადმინისტრაციის ცვლილება აუცილებლად უნდა მოხდეს, მაგრამ მე პირადად მიმაჩნია, რომ უმჯობესია არჩევნები ელექტრონული სისტემით ჩატარდეს. გახსოვთ, მე თქვენთან ინტერვიუში ესტონური მოდელი ვახსენე. ეს უნდა გაკეთდეს იმიტომ, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა ის, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ემიგრაციაშია და ბევრი ადამიანი ვერ იღებს არჩევნებში მონაწილეობას, რადგანაც ბევრ ქალაქში არ არის საკონსულოები, სადაც მოქალაქეებს გამოცხადება და არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ. ასევე, ეს კარგი იქნება მათთვისაც, ვინც საქართველოში ცხოვრობენ, მაგალითად, მუშაობენ და ცხოვრობენ თბილისში და რეგისტრირებულები არიან რეგიონებში, ამის გამო ბევრი მიდის.

***– ამომრჩეველთა მობილობას შეუწყობს ხელს?***

– დიახ. შესაძლებლობას გააჩენს, რომ ამომრჩეველთა რაოდენობა გაიზარდოს უბნებზე და ამავე დროს საარჩევნო უფლება იყოს დაცული. ანუ, ყველას საარჩევნო უფლება იყოს დაცული.

„ქართულ ოცნებას“ აქვს უპირატესობა, რადგან აქვს რესურსები, რომ თავისი მომხრეები ტრანსპორტირებით უზრუნველყოს, მაგრამ ყველა მაინც ვერ ჩადის. ოპოზიციის მხარდამჭერებში კი ეს სურათი კიდევ უფრო რთულადაა.

***– თქვენ დაინახეთ თუ არა ის, რომ ეს მოლაპარაკება ევროპისთვის პრესტიჟის საქმეა და ამაზე ხომ არ მიანიშნებს, მაგალითად, ევროპარლამენტარ კუბილიუსის განცხადება, რომ სააკაშვილი და ივანიშვილი უშუალოდ უნდა ჩაერთონ პროცესში?***

– მე ბატონ კუბილიუსს პატივს ვცემ. იმიტომ, რომ საქართველოს მხარდამჭერი ბევრი განცხადება გააკეთა, მაგრამ ამ შემთხვევაში არარეალისტურად მეჩვენება სააკაშვილის და ივანიშვილის ჩართვა პროცესში. იმიტომ, რომ ორივე, ასე თუ ისე, ჩართულია პროცესში. იმის მიუხედავად, რომ ივანიშვილმა განაცხადა, პოლიტიკიდან წავედიო, ის დიდი ალბათობით ჩართულია პროცესში.

***– ამაზე საუბრობს ზუსტად კუბილიუსიც, რომ ორივე გავლენის მომხდენები არიან პოლიტიკაში.***

– კი, არიან, მაგრამ არა მგონია, რომ ამით პრობლემა გამოსწორდეს. ჯერ ერთი, სააკაშვილი ვერ ჩამოვა საქართველოში. ვიცით, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და ის არ შეწყვეტილა, რაც პროკურატურის და სასამართლოს კომპეტენციაა. პროკურატურამ განახორციელა დევნა, სასამართლომ კი გადაწყვეტილება მიიღო. „ქართული ოცნება“ განაცხადებს, რომ ჩვენთან პროკურატურა და სასამართლო დამოუკიდებელიაო. აქედან გამომდინარე არარეალისტურად მეჩვენება ეს მიდგომა.

***– კუბილიუსის ამ განცხადების გარდა, აშშ-ის ყოფილმა ელჩმა იან კელიმაც განაცხადა, რომ სააკაშვილი და ივანიშვილი უნდა წავიდნენ, ბუში და ობამა წავიდნენ და უტრირება რომ გავაკეთოთ, ასე გამოვიდა, რომ ესენი ასეთი მოუშორებლები რა არიანო. ამ ორი ლიდერის ამხელა გავლენა დასავლეთისგან როგორ აღიქმება?***

– ვერ წავლენ. სააკაშვილის ფაქტორის გამო აძლევს ბევრი „ნაციონალურ მოძრაობას“ ხმას. სხვა საკითხია, ეს სწორია თუ არა.

დასავლეთს რაც შეეხება, იქ ერთ ნაწილში აღიქმება, რომ თითქოს გადაწყვეტილებების მიმღებები, ერთი მხრივ, სააკაშვილია ოპოზიციის მხრიდან, ხოლო, მეორე მხრივ, ივანიშვილი ხელისუფლების მხრიდან. მაგრამ არასწორი მიდგომაა. იმიტომ, რომ ამით სხვა პოლიტიკოსების დაკნინება ხდება.

***– ასე გამოდის, რომ დასავლეთი სხვა პოლიტიკოსებს აკნინებს?***

– გარკვეულწილად ასე ხდება. მე არ მინდა ვთქვა, რომ დასავლეთი შეურაცხყოფას აყენებს ვინმეს. ეს მე ასე არა მგონია, რომ იყოს.

***– უნებლიეთ ასე გამოდის?***

– ირიბად ასე გამოდის. ეს განცხადება იმაზე მეტყველებს, რომ თითქოს სააკაშვილისა და ივანიშვილის გარეშე ვერ თანხმდებიან და თუ ისინი ჩაერთვებიან, ზემოქმედებას მოახდენენ და მაშინ მოხდება შეთანხმება, მაგრამ ვერ მოხდება. გავიხსენოთ კოჰაბიტაციის პერიოდი. მაშინ სააკაშვილი პრეზიდენტი იყო და ივანიშვილი პრემიერი, მაგრამ ვერანაირად ვერ მორიგდნენ და გვახსოვს, როგორი დაძაბული ვითარება იყო. როგორც მოსალოდნელი იყო, კოჰაბიტაციის პროცესმა არ გაამართლა.

***– სააკაშვილი გამოეხმაურა „ტვ პირველის“ გადაცემებს, სადაც ამ თემების მიმოხილვა იყო და ტელეწამყვანებიც გააკრიტიკა და კუბილიუსს მითიური დასავლელი პოლიტიკოსი უწოდა. რამდენად რელევანტური განცხადებაა პარტნიორების მისამართით, რომლებიც საქართველოს გულშემატკივრები არიან?***

– არა მგონია, რომ სწორი იყოს. კუბილიუსმა გამოხატა თავისი აზრი და შეგიძლია თქვა, რომ არ ვეთანხმები, მაგრამ მითიური პოლიტიკოსია და ა. შ. ეს პირად შეურაცხყოფაზე გადადის.

***– ჟურნალისტების მიმართ გამოთქმული კრიტიკა მისაღებია? დაახლოებით ასე ჟღერდა, როგორ გაბედეს ამ კითხვების დასმა. სწორია?***

– არ არის კარგი. იცით, რომ მე პატივს ვცემ სააკაშვილს და ვაღიარებ, რომ მისი პრეზიდენტობის დროს იყო ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა. კი, შეცდომებიც იყო, მაგრამ რეფორმებიც გაცილებით მეტი იყო. მაგრამ ბატონი სააკაშვილი გამოირჩევა ხისტი განცხადებებით. ამ შემთხვევაში სააკაშვილს არ ვეთანხმები. ჩემი აზრით, ეს მისი სუსტი მხარეა. მით უმეტეს, ვიცით, რომ „ტვ პირველი“ ხელისუფლების მიმართ კრიტიკული არხია და იბრძვის, როგორც მედია. ამ არხმა ძალიან მნიშვნელოვანი კადრები გამოამზეურა. ასეც რომ არ იყოს, ასეთი მიდგომა მისაღები არ არის. მით უმეტეს, ადამიანისგან, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ დემოკრატიისთვის იბრძვის და მე ასე მგონია, რომ დემოკრატიულად მოაზროვნე ადამიანი სხვა ადამიანს არ უნდა აყენებდეს შეურაცხყოფას განსხვავებული აზრის გამო. თანაც, როგორც პოლიტიკოსმა, უნდა გაითვალისწინო, რომ მედიასთან გაქვს საქმე. იგივე ეხება კუბილიუსის შესახებ გამოთქმულ განცხადებასაც, რომელსაც მეც არ ვეთანხმები. ამიტომ, მე მგონია, რომ მიხეილ სააკაშვილს მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვება.

# კახა კალაძე კლინიკაში მკურნალობს

კახა კალაძე კლინიკაში მკურნალობს.

ამის შესახებ თბილისის მერმა 26 მარტს სოციალურ ქსელში დაწერა.

„მეგობრებო, უამრავი შეტყობინება მომდის, მწერენ ნაცნობები და სრულიად უცნობი ადამიანები, თუ სად ვარ და რატომ არ ვჩანვარ აქტიურად.

თავს ვალდებულად ვთვლი მოგაწოდოთ ინფორმაცია: დამიდასტურდა ვერტებრო-ბაზილარული სინდრომი და ვესტუბულოპათია, რის გამოც ვიმყოფები სამედიცინო კვლევებზე თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში. ვმუშაობ დისტანციურ რეჟიმში და ვაგრძელებ მკურნალობას. მინდოდა, ეს ინფორმაცია ჩემგან მიგეღოთ. შეხვედრამდე!“ – დაწერა კალაძემ.

27 მარტს გაირკვა, რომ კახა კალაძეს ვერტებრო-ბაზილარული სინდრომი არ დაუდასტურდა.

– ვერტებრო-ბაზილარული სინდრომის შესახებ დიაგნოზი წინასწარ იყო გამოტანილი ერთ-ერთ კლინიკაში, რომელიც შემდგომი კვლევის შედეგად არ დადასტურდა. ის ატარებდა ე.წ. სამუშაო ხასიათს. სახეზე გვაქვს არტერიული წნევის არასტაბილობა.

სწორედ ამ მიზეზის გამო ის მოხვდა ჩვენს კარდიოლოგიურ კლინიკაში. მას აქვს ე.წ. ვესტიბულოპათია. ეს არის ცენტრი, რომელიც არეგულირებს ადამიანის წონასწორობას. აღნიშნული დარღვევები განპირობებულია მისი სპორტული წარსულით და დაძაბული შრომითი განრიგით, – განაცხადა ექიმმა ზურაბ ფაღავამ.

ამის შემდეგ კახა კალაძეს დამატებითი სამედიცინო კვლევები ჩაუტარდა. პროფესორ ეკატერინე ხარხელის მიერ მას დაუდგინდა საბოლოო დიაგნოზი – იშემიური გენეზის კოხლეო-ვესტიბულური დისფუნქცია.

– დედაქალაქის მერი თავს უკეთ გრძნობს, მკურნალობის დინამიკა დადებითია.

კახა კალაძე აგრძელებს მკურნალობას კლინიკაში, მუშაობს დისტანციურად და მალე დაუბრუნდება ჩვეულ რეჟიმს, – განაცხადეს მერიის პრესსამსახურში.

# ჩუმლაყში მკვლელობის საქმეზე 2 პირი დააკავეს

ჩუმლაყში მალხაზ ბადუაშვილის მანქანის დაცხრილვის, იმედა ჩიქობავას მკვლელობის და 3 პირის დაჭრის საქმეზე 2 პირი დააკავეს.

ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გურჯაანის მუნიციპალიტეტში მომხდარი მკვლელობის და სამი პირის დაჭრის ფაქტი გახსნეს.

დაკავებულია 2 პირი: 1965 წელს დაბადებული ა.ტ. და 1980 წელს დაბადებული ჯ.ტ.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 25 მარტს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუმლაყის მიმდებარე ტერიტორიაზე, 1979 წელს დაბადებული მ.ბ.-ს კუთვნილი ავტომობილის მიმართულებით ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა განხორციელდა, რის შედეგადაც ავტომანქანაში მყოფი 1979 წელს დაბადებული ი.ჩ. ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო 1990 წელს დაბადებულმა მ.მ.-მ, 1972 წელს დაბადებულმა ზ.ბ.-მ და თავად ავტომობილის მფლობელმა – მ.ბ.-მ ჯანმრთელობის სხვადასხვა დაზიანება მიიღეს. სამივე დაჭრილი გადაყვანილია კლინიკაში, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდებათ.

## რა კავშირი აქვს დანაშაულს 16 წლის წინ მომხდარ მკვლელობასთან



სამართალდამცველებმა, დაკავებული ბრალდებულების პირადი ჩხრეკის შედეგად, კალაშნიკოვის სისტემის 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 8 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

განზრახ მკვლელობის და სამი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვატარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 19-109-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.“

ერთ-ერთი ვერსიით, თავდასხმის მოტივი წარსულში მომხდარი დაპირისპირებაა. „კურიერმა“ გაარკვია, რომ დაკავებულები – ალექსანდრე და ჯუანშერ ტორიაშვილები მალხაზ ბადუაშვილის მიერ 16 წლის წინ მოკლული ვანო ტორიაშვილის ბიძაშვილები არიან. სავარაუდოდ, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ტორიაშვილებმა მალხაზ ბადუაშვილის ავტომობილის მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლეს.

16 წლის წინ მოკლული ვანო ტორიაშვილის მამა კონკრეტულად ვერ ამბობს, იყო თუ არა ეს 16 წლის შემდეგ შურისძიება მისი ნათესავების მხრიდან, თუმცა ამ ფაქტს არც გამორიცხავს.

– ჩემი შვილი იყო პატიოსანზე პატიოსანი და უშლიდა – ნუ აწუხებ სოფელსაო, რა კაკო ყაჩაღივით დადიხარო, – აღნიშნა დაჭრილი მალხაზ ბადუაშვილის მამამ.

„კურიერი“ ასევე ესაუბრა დაკავებულების მეზობლებს, რომელთაც არ აქვთ ინფორმაცია, სად და რა ვითარებაში აიყვანეს მათი თანასოფლელები სამართლდამცველებმა, თუმცა არ გამორიცხავენ, თავდასხმის ფაქტი წარსულის შურისძიებას უკავშირდებოდეს.

– ურთიერთობა ჰქონდათ ძმაკაცური, მეგობრული. მერე რა მოხდა მაგათ შორის, რა კონფლიქტი მოხდა, არ ვიცი არაფერი. მარტო გუშინ გავიგე, რომ რაღაც ჩაცხრილვის ხმა იყო და ვინ და რა მოხდა, ეგეც არ ვიცი, – განაცხადა ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

დაკავებულებს ბრალი ოფიციალურად წარედგინა. ადვოკატის თქმით, ისინი ბრალს ნაწილობრივ აღიარებენ.

გუშინ, 28 მარტს, თელავის სასამართლომ ორივე დაკავებულს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

# „დედა აბაზანაში შევიდა, წაიქცა, ცუდად გახდა. ხელები შეკრული არ ჰქონია“

## ჯავახიშვილის ქუჩაზე 85 წლის ქალი გარდაიცვალა



27 მარტს თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩაზე 85 წლის ქალი მეზობლებმა გარდაცვლილი ნახეს.

თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ მას ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა და დანით ჭრილობები მიყენებული.

მეზობლების თქმით, რამდენიმე წუთის განმავლობაში სახლიდან ხმაური გამოდიოდა, რის შემდეგაც მათ ადგილზე პოლიცია გამოიძახეს.

სამართალდამცველებმა სახლში შესვლა ვერ შეძლეს, რადგან ქალის შვილებმა ამის შესაძლებლობა არ მისცეს, ამის შემდეგ საჭირო გახდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის გამოძახება.

პოლიციამ გარდაცვლილი ქალის შვილები გამოკითხვაზე გადაიყვანა, რამდენიმე საათის შემდეგ კი უკან გამოუშვა.

შვილები ამტკიცებენ, რომ მკვლელობა არ მომხდარა და ქალი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა.

– აბაზანაში შევიდა, წაიქცა, ცუდად გახდა. ჩემმა ძმამ დამიძახა, ნახე, რა ხდებაო, შევედი. დედაჩემი ძირს იყო და მე ვერ ავწევდი იმ სიმძიმეს, გამოვაყვანინე ჩემ ძმას.

ხელ-ფეხი არ ჰქონდა შეკრული. თვალზე ჰქონდა ნაჭერი, თვალებზე იფარებდა ხოლმე, შუქმა არ შემაწუხოსო. დედა გარდაცვლილი ჩვენ არ გვეგონა, სასწრაფო გამოვიძახეთ. დედაჩემს ჰქონდა სკლეროზი, მეხსიერების დაქვეითება, თავში ჩაქცევები ჰქონდა, შაქარი ჰქონდა მაღალი, სახსრები სტკიოდა, – განაცხადა გარდაცვლილის ქალიშვილმა.

# შაქარაშვილის საქმეზე 3 პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა



გიორგი შაქარაშვილის საქმეზე ძალადობისა და სხეულის განზრახ მსუბუქ დაზიანების ეპიზოდზე ბრალდებული სამი პირის: ირაკლი წაქაძის, საბა გოგშელიძისა და საბა ჩხარტიშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა. სამივე პირს ამნისტია შეეხო.

26 მარტის სასამართლო პროცესზე ბრალდებულების ეპიზოდში დაზარალებულად ცნობილი ვახტანგ ჩიქოვანის სიტყვიერ თანხმობას ელოდებოდნენ, ჩიქოვანის თანხმობის შემდეგ კი მოსამართლემ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო.

ერთ-ერთი ბრალდებულის საბა გოგშელიძის ადვოკატის არჩილ დეკანოზიშვილის ინფორმაციით, სასამართლომ ასევე დააკმაყოფილა მათი შუამდგომლობა გირაოს თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

– სისხლის სამართლებრივი დევნა სამივე ბრალდებულზე შეწყვეტილია. დღევანდელ სასამართლო პროცესზე გამოკითხული იქნა დაზარალებული ვახტანგ ჩიქოვანი, რომელმაც დაადასტურა, რომ მას ყოფილი სამი ბრალდებულის მიმართ პრეტენზია არ გააჩნდა, გამოყენებულიყო ამნისტია. ასევე დაყენებული იყო საკითხი გირაოსთან დაკავშირებით, სამივე პირი გირაოთი იყო გამოშვებული და მოსამართლემ დააკმაყოფილა ჩვენი შუამდგომლობა, რომლითაც ყოფილ ბრალდებულებს გირაოს თანხა დაუბრუნდებათ, – აღნიშნა არჩილ დეკანოზიშვილმა.

წინასასამართლო სხდომაზე სამივე ბრალდებული სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლეს.

ძალადობასა და სხეულის განზრახ მსუბუქ დაზიანებაში ბრალდებულებმა ციხე მას შემდეგ დატოვეს, რაც დანაშაული აღიარეს.

# „მაიორ მერაბ ბარბაქაძეს მობილურზე დაურეკეს, ის სახლიდან გავიდა და თავში ისროლა“

## თვითმკვლელობა თბილისში

რამდენიმე დღის წინ თბილისში პოლიციის მაიორმა თავი მოიკლა. ის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნიდან იყო.

„კახეთის ხმის“ ცნობით, მაიორმა მერაბ ბარბაქაძემ თბილისში, საკუთარი სახლის ეზოში, მისივე კუთვნილი იარაღით მოიკლა თავი.

ოჯახის წევრები და ნათესავები გარდაცვალების მიზეზს ვერ ასახელებენ.

ახლობლები ამტკიცებენ, რომ გარდაცვლილს პრობლემები არ ჰქონდა და მანამდე ნერვიულობაც არ შეუმჩნევიათ.

მათი ინფორმაციით, სამსახურში წასვლის წინ ბარბაქაძეს მობილურ ტელეფონზე დაურეკეს, შემდეგ ის სახლიდან გავიდა და იარაღი თავში ისროლა. მომხდარ ფაქტს თვითმხილველი არ ჰყავს.

არსებული ინფორმაციით, ბარბაქაძეს ოფიცრის წოდება ჰქონდა და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების მონაწილე იყო.

მას მეუღლე და 2 შვილი დარჩა

ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.




# რუსთავში სასაფლაოებთან მერსედესი მიკროავტობუსს შეეჯახა

27 მარტს რუსთავში, სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიაზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

ერთმანეთს მერსედესის მარკის მსუბუქი ავტომობილი და ფორდის მარკის მიკროავტობუსი შეეჯახნენ.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ავარიის შედეგად მსუბუქ ავტომობილში მყოფი ახალგაზრდა ქალი და მამაკაცი დაშავდნენ.

დაშავებულები ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

# განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ბაზაზე ახალი სპორტული დარბაზი გაიხსნა

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თბილისის ბაზას ეწვია. ვახტანგ გომელაურმა მოადგილეებთან – იოსებ ჭელიძესა და გიორგი ბუთხუზთან ერთად დაათვალიერა ბაზის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა და ახალი სპორტული დარბაზი. შინაგან საქმეთა მინისტრი, ასევე, დეტალურად გაეცნო განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების სამუშაო პირობებს.



ახალი, თანამედროვე სპორტული დარბაზი ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს. იგი აღჭურვილია უახლესი სპორტული ინვენტარით, სავარჯიშო ტრენაჟორებითა და საშხაპეებით.

შინაგან საქმეთა მინისტრი განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის კვებითი უზრუნველყოფითაც დაინტერესდა, ბაზაზე მომსახურე თანამშრომლების კვების რაციონს გაეცნო და ყაზარმის სასადილო დაათვალიერა.

ვახტანგ გომელაურმა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებს სამუშაო პროცესთან დაკავშირებით შესაბამისი დავალებები მისცა.

# შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში სატრანსპორტო საშუალების ძველი ნიმუშის სახელმწიფო სანომრე ნიშნების შეცვლის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს.

გარდა სერვისცენტრებში ვიზიტისა, მსუბუქი ავტომობილის მესაკუთრეებს საშუალება აქვთ, მომსახურების სააგენტოს მობილური აპლიკაციის (SAGENCY) საშუალებით, დისტანციურად მოითხოვონ ძველი ნიმუშის რეგისტრაციის ნომრის შეცვლა ახლით, იმ შემთხვევაში თუ მის სახელზე რეგისტრირებული ავტომობილი არ სხვისდება და მისი მონაცემები (მარკა, ძარის ტიპი, ფერი, საწვავის ტიპი, ძრავის ნომერი ან მოცულობა და ა.შ.) არ არის შეცვლილი.

მომსახურების სააგენტოს მობილური აპლიკაციის (SAGENCY) გადმოწერა ხდება „აიფონით“ სარგებლობის შემთხვევაში – APP Store-დან, ხოლო ანდროიდით სარგებლობისას – PLAY Store-დან. გადმოწერის შემდეგ, დაინტერესებული პირი გაივლის რეგისტრაციას, თუკი მანამდე არ ყოფილა მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე დარეგისტრირებული. დისტანციური მომსახურების მისაღებად, სააგენტოს მობილურ აპლიკაციაში რეგისტრაციის მიზნით, დაინტერესებული პირის მიერ მიეთითება პერსონალური მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მობილური ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. რეგისტრაციის არსებობის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი აპლიკაციაში პირდაპირ ავტორიზაციის გავლის შემდეგ შეძლებს პირად გვერდზე გადასვლას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ ჯერ კიდევ 2014 წლიდან დაიწყო ახალი დიზაინის სანომრე ნიშნების გაცემა და მაშინვე გამოცხადდა ნომრების შეცვლის ბოლო ვადა – კონკრეტული თარიღი 2020 წლის სექტემბერი, თუმცა, კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებებიდან გამომდინარე, ეს ექვსწლიანი ვადა გახანგრძლივდა და მიმდინარე წლის 31 მარტის ჩათვლით განისაზღვრა.

ვინაიდან, ქვეყნის მასშტაბით, მიმოქცევაში დარჩენილი იყო დიდი რაოდენობით ძველი ნიმუშის სანომრე ნიშანი, მომსახურების სააგენტომ არაერთხელ მოუწოდა შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეებს, დროულად მიემართათ სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებისთვის. მომსახურების სააგენტოს მიერ, ასევე, არაერთხელ მოხდა, საზოგადოების ინფორმირება, რომ ძველი სარეგისტრაციო ნიშნის მქონე სახელმწიფო ნომრების ახლით შეცვლისას, სავალდებულო აღარ არის სატრანსპორტო საშუალების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში მოყვანა და დათვალიერება.

საზოგადოებას კიდევ ერთხელ განვუმარტავთ, რომ ძველ სანომრე ნიშნებს იურიდიული ძალა უწყდებათ 2021 წლის 1 აპრილიდან, თუმცა ნებისმიერ მოქალაქეს აღნიშნული თარიღის შემდეგაც კვლავ შეუძლია კუთვნილი სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშნები შეცვალოს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში, სატრანსპორტო საშუალების მოყვანის და დათვალიერების გარეშე.

აქვე საყურადღებოა, რომ 1-ელი აპრილიდან ძველი სანომრე ნიშნით ავტომობილის გადაადგილება იქნება ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და მფლობელი ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდება.

# დიდი ავარია ქობულეთი-ბათუმის გზაზე

## 6 მანქანა შეეჯახა ერთმანეთს




27 მარტს ქობულეთი-ბათუმის შემოვლით გზაზე ერთმანეთს 6 ავტომობილი შეეჯახა. მათ შორისაა 1 მიკროავტობუსი.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებულია 4 პირი, ისინი ქობულეთის რეფერალურ საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

დაშავებულებიდან 1 პირი უკვე გაეწერა, 3 პირი კი სხვადასხვა დაზიანებებით კლინიკაში გააგრძელებს მკურნალობას.

გამოძიება დაწყებულია 276 მუხლის მე-2 ნაწილით, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

## ნიკოლ ფაშინიანი: „აპრილში გადავდგები“



სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი თანამდებობიდან აპრილში გადადგება.

მან ამის შესახებ გუშინ, 28 მარტს, არმავირის ოლქის მცხოვრებლებთან შეხვედრისას განაცხადა.

მისი თქმით, ის პოსტს ფორმალურად დატოვებს ქვეყანაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად.

– დიახ, უახლოეს პერიოდში, აპრილში გადავდგები თანამდებობიდან არა იმისთვის, რომ წავიდე, არამედ იმიტომ, რომ ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ამ პერიოდის განმავლობაში მე შევასრულებ პრემიერ-მინისტრის მოვალეობას, – განაცხადა ფაშინიანმა.

## ნავალნის მეუღლე გერმანიაში გაემგზავრა

ალექსეი ნავალნიმ ფეხის არეში ტკივილის შემსუბუქების მიზნით საპატიმროში ტკივილგამაყუჩებლები მოითხოვა.

პოლიტიკოსის თქმით, მას მწვავე ტკივილები აღენიშნება და აუცილებელი მედიკამენტები ესაჭიროება.

რუსული კულტურის მუშაკებმა პრეზიდენტ პუტინს და სახალხო დამცველს მოსკალკოვას წერილით მიმართეს. მასში ნათქვამია, რომ ოპოზიციის ლიდერ ნავალნის უნდა მოეხსნას სტატუსი „გაქცევისადმი მიდრეკილი“, მიეცეს უფლება მოინახულოს ადვოკატი, მიიღოს წამლები და ა.შ.

## ინდონეზიაში კათოლიკურ ეკლესიასთან აფეთქება მოხდა



### 10 ადამიანი დაიღუპა

ინდონეზიაში კათოლიკურ ეკლესიასთან აფეთქება მოხდა, რასაც სულ მცირე 10 ადამიანი ემსხვერპლა.

ქალაქ მაკასარში კათოლიკურ ეკლესიასთან შეკრებილ მრევლს თავს 2 ადამიანი დაესხა.

ეკლესიასთან შეკრებილი მრევლი ბზობის დღესასწაულს აღნიშნავდა, როდესაც თვითმკვლელი თავდამსხმელები ხალხში მოტოციკლებით შევარდნენ.

აფეთქების დროს ათობით ადამიანი დაშავდა. მომხდართან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია.

## პეკინს ქვიშის ქარიშხალმა გადაუარა



ჩინეთის დედაქალაქ პეკინს ქვიშის ქარიშხალმა გადაუარა.

ეს ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველაზე ძლიერი ქვიშის ქარიშხალი იყო, რომელიც ჩინეთში მოხდა.

ქარიშხლის გამო პეკინში ხილვადობა გართულდა, ქალაქის ქუჩები კი მტვრის სქელი ფენით დაიფარა.

ჰაერის დაბინძურებამ დასაშვებ ნორმას რამდენჯერმე გადააჭარბა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ დედაქალაქის მცხოვრებლებს სახლში დარჩენისკენ მოუწოდა.

სინოპტიკოსების მტკიცებით, ქვიშის ქარიშხალი მონღოლეთის უდაბნოში წარმოიქმნა და ძლიერი ქარის მეშვეობით პეკინამდე მიაღწია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ძაღლმა სეირნობის დროს პატრონი გადაარჩინა



კანადის ქალაქ ოტავაში, ძაღლმა გადაარჩინა პატრონი, რომელმაც სეირნობის დროს მოულოდნელად გონება დაკარგა.

თავის ძაღლთან, სახელად კლოვერთან ერთად დილის გასეირნების დროს ჰეილი მურმა გზის პირას გონება დაკარგა. ძაღლი გზის სავალ ნაწილზე შევარდა და მიმავალ სატვირთოს გზა გადაუკეტა. მძღოლი მანქანიდან გადმოვიდა და გონება დაკარგულ ქალს დახმარება აღმოუჩინა.

– ეს შთამბეჭდავი იყო, ძაღლმა უბრალოდ გზა გადამიკეტა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას პატრონისთვის თვალი არ მოუშორებია, მართალია ჩემთან ახლოს არ მოსულა და თვალს გვერდიდან მადევნებდა, სანამ არ დარწმუნდა, რომ მის პატრონს ვეხმარებოდი, – განაცხადა მძღოლმა, რომელმაც ქალს დახმარება აღმოუჩინა.

ამის შემდეგ კლოვერმა პატრონის დასახმარებლად კიდევ ერთი გამვლელი ჩართო, თავად კი სახლში გაიქცა, რათა მისი ოჯახის წევრები მოეხმო. როდესაც მურის მშობლებმა შემთხვევის ადგილზე მიირბინეს, იქ უკვე პარამედიკოსებიც დახვდნენ.

– მხოლოდ ის მახსოვს, რომ გონს სასწრაფო დახმარების მანქანაში მოვედი და ვერ ხვდებოდი, რა ხდებოდა, – აღიარა მურმა.

ამ ინციდენტის შემდეგ ქალი სახლში გაუშვეს. ექიმებს უჭირთ იმის თქმა, თუ რა გახდა გონების დაკარგვის მიზეზი. ჰეილი კი აცხადებს, რომ გონების დაკარგვის აღარ ეშინია, ვინაიდან კლოვერი უეჭველად დაეხმარება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

### სპორტი

## ბითაძე დროს იყენებს



ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გოგა ბითაძე განაგრძობს მომატებული სათამაშო დროის მაქსიმალურად გამოყენებას. მორიგ მატჩში, რომელიც მისმა ინდიანამ სტუმრად, დალასთან ჩაატარა, ქართველი ცენტრი საკმაოდ აქტიური იყო და გამარჯვებაში თავისი წილი დაიდო. ინდიანელებმა დალასი 109:94 დაამარცხეს.

ბრძოლა მხოლოდ პირველ მეოთხედში შედგა, რომელიც ინდიანამ 2 ქულით მოიგო. აქედან მოყოლებული კი, ბითაძის გუნდი თითქმის მუდმივად ინარჩუნებდა ანგარიშში უპირატესობას ორნიშნა რიცხვით და საბოლოოდ 15 ქულითაც გაიმარჯვა.

გოგა ბითაძემ მოედანზე 11 წუთი გაატარა და ამ დროის მანძილზე 6 ქულა, 6 მოხსნა, 3 დაფარება და თითო პასი-ჩაჭრა მოინაგრა. ბითაძის 4-იდან 3 ორქულიანი ზუსტი აღმოჩნდა, ერთი სამქულიანი კი არაზუსტი.

პეისერსმა რეგულარულ ჩემპიონატში ჩატარებული 44 მატჩიდან 21 მოიგო და აღმოსავლეთ კონფერენციის სატურნირო ცხრილში მე-9 პოზიციაზე რჩება. ბითაძის გუნდი მომდევნო შეხვედრას სტუმრად ვაშინგტონ უიზარდსთან ჩაატარებს.

მოსკოვის ცსკამ, რომლის ღირსებასაც თორნიკე შენგელია იცავს, ვითიბი ლიგაში იოლი გამარჯვება მოიპოვა. არმიელებმა ყაზანის უნიკსს უმასპინძლეს და 102:86 დაამარცხეს.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი სასტარტო ხუთეულში იყო და 25 წუთი ითამაშა. გუნდს კი 15 ქულა მოუტანა. მის ანგარიშზე 2-2 მოხსნა და პასი, ასევე 1 ჩაჭრაა.

ვითიბი ლიგაში ცსკა 20-დან 15 მოგებული მატჩით მე-2 ადგილზეა. ქართველი ფორვარდის გუნდმა სწორედ უნიკსს გადაასწრო (15 მოგება). ზენიტი კი 18 გამარჯვებით ლიდერობს, რომელსაც ცსკა მომავალ ტურში ესტუმრება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ორმა მგელმა ზოოპარკის თანამშრომელი დაკბინა



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ ბერლინგტონში მგლებმა ზოოპარკის თანამშრომელი დაკბინეს.

შაბათ საღამოს ორმა ახალგაზრდა მგელმა ცხოველთა დაცვის ცენტრთან არსებული ზოოპარკის თანამშრომელი დაკბინა. ქალმა დაზიანებები მიიღო ხელებზე, იდაყვის მიდამოებსა და მხრებზე, ასევე – მარჯვენა თეძოზე.

ზოოპარკის ხელმძღვანელობამ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ორშაბათს გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მრავალწლიანი გამოცდილების მქონე და პროფესიონალურ მომზადებაგავლილი ცხოველების ზედამხედველი ვოლიერში, რომელშიც ორი ახალგაზრდა მგელი იმყოფებოდა, ჩვეულებრივ საქმიანობდა. მოულოდნელად მას თავს ცხოველები დაესხნენ.

ზოოპარკის ხელმძღვანელობამ დააზუსტა, რომ მგლების ვოლიერი ტურისტული ბილიკისგან უამრავი დამცავი წინაღობითაა გამოყოფილი და დამთვალიერებლებს საფრთხე არ შეჰქმნიათ.

დაშავებული ქალი ზედამხედველი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა უცნობია, ხოლო მგლები ათდღიან კარანტინში მოათავსეს.

## მამაკაცმა უნიკალური თვითნაბადი ოქრო იპოვა და 42 წლის შემდეგ მის გაყიდვა გადაწყვიტა



ინგლისის ბაკინჰემშირის საგრაფოს ქალაქ მარლოუს მკვიდრმა გადაწყვიტა, გაყიდოს თვითნაბადი ოქროს ზოდი, რომელიც მან 42 წლის წინ იპოვა.

62 წლის კერი ტეკველმა განაცხადა, რომ 30-გრამიანი თვითნაბადი ოქრო 1979 წელს იპოვა, როდესაც მამასთან ერთად ქალაქ დოლგელაუს შემოგარენს იკვლევდა. იმ დროს მისი გაყიდვა მხოლოდ ას ფუნტ სტერლინგად იყო შესაძლებელი.

ტეკველმა გადაწყვიტა, ნაპოვნი თვითნაბადი ოქროს ზოდი სამახსოვროდ შეენახა.

– მცირე ხნის წინ ავადმყოფი ნათესავის მოსავლელად ვიყავი წასული და სწორედ მაშინ გამიჩნდა აზრი, რომ მამა საკმაოდ მოხუცდა და რატომაც არ უნდა გამეყიდა ოქრო აუქციონზე. მოკლედ, გადავწყვიტეთ, რომ მისი გაყიდვისა და აუქციონზე გატანის დრო მოვიდა, – იხსენებს ბრიტანელი.

აუქციონი აპრილში უელსის დედაქალაქ კარდიფში გაიმართება. წინასწარი მონაცემებით, ექსპერტები თვითნაბად ოქროს 25 ათას ფუნტ სტერლინგად აფასებენ.

## ქალს მანქანის სატერფულები აერია და ტბაში ქალიშვილთან ერთად დაიხრჩო



მალაიზიის ქალაქ კედახში ავტომობილის მძღოლს სატერფულები ერთმანეთში აერია და ტბაში მგზავრთან ერთად დაიხრჩო.

კვირა საღამოს 60 წლის ქალი და მისი 20 წლის ქალიშვილი ტბაში ავტომობილ პროტონ პერსონათი აღმოჩნდნენ და დაიღუპნენ.

საოლქო პოლიციის უფროსმა მოდ აკმალ ხიზამ აბდ ხუპურმა განაცხადა, რომ ავტომობილის საჭესთან ერთ-ერთი ქალი იჯდა.

– წინასწარმა გამოძიებამ აჩვენა, რომ ავტომობილი ტბის მახლობლად მდებარე ავტოსადგომზე იყო გაჩერებული. სავარაუდოდ, მძღოლმა აქსელერატორს დააჭირა, რის შემდეგაც მანქანა სწრაფად დაიძრა და წყალში აღმოჩნდა, – განაცხადა პოლიციის უფროსმა.

მისი თქმით, ქალებმა მანქანის დატოვება ვერ მოახერხეს და დაიღუპნენ. მათი ცხედრები ტბიდან მომხდარიდან ორი საათის შემდეგ ამოიღეს. ისინი საავადმყოფოში გადააგზავნეს გასაკვეთად და სიკვდილის მიზეზის დასადგენად.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# დავით ღვინიანიძე სამშობლოს დივიდენდს უბრუნებს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

თმა მომცეს ძალა, უნარი და უფლება, ყველა ჩემი დაწყებული და მიმდინარე გეგმის გაგრძელება შევძლო. განსაკუთრებულზე არაფერზე არ ვოცნებობ, რადგან, ვფიქრობ, ძალიან ბევრი გავაკეთე ჩემი ადგილის დასამკვიდრებლად დედამიწაზე. ჩემი აზრით, ცხოვრებაში ყველაფერი ზღაპარი არ არის, თუმცა ჩვენი შესაძლებლობები რეალურად უნდა შევაფასოთ. იმასაც ვხვდები, რომ ჩემს ხელოვნებაში ჯერ კიდევ ბევრი რამ უთქმელია და მომავალში მინდა ვთქვა.“

მომღერლისთვის მნიშვნელოვანი გრძნობა იმედი და სიყვარულია და მათ თავისი ცხოვრების ბარომეტრს უწოდებს.

დავით ღვინიანიძეს, რომელსაც თავბრუდამხვევი კარიერა და არაერთი მოგონება აქვს, მაინცდამაინც სტუდენტობისდროინდელი შემთხვევა არ ავიწყდება. ეს სცენაზე მის პირველ გამოსვლას უკავშირდება, მომენტს, როცა კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტი იყო. ვოკალური ხელოვნების პოსტულატების დაუფლების შემდეგ, პირველად ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ სცენაზე უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე გამოვიდა და ორი ნეაპოლური სიმღერა იმღერა „მითხარით, გოგონებო“ და „ო სოლე მიო“ – ამ უკანასკნელში მაღალი ნოტებია, რომლებსაც კლასში ვირტუალურად ვერ ეუფლებოდა, როგორც ეს სცენაზე გამოუვიდა. სცენაზე ისეთი განწყობით გამოვიდა, რომ თავისი შესაძლებლობის დემონსტრირება პირველად სწორედ იქ შეძლო, იქ მიხვდა, რომ ეს პროფესია ღვთისგან იყო ბოძებული.

პანდემიის შემდეგ მომღერალი თავისი ყველა გეგმა-პროექტის აღდგენა-განახლებას გეგმავს. საზოგადოება მის ყველა სიახლეს პრესისა და მედიის საშუალებით შეიტყობს.

– ჩემი მუსიკალური კარიერა, შეიძლება ითქვას, ქუთაისის ჯაზ-როკ ანსამბლ „ალიონის“ სოლისტობით დაიწყო.

***– ძალიან დიდხანს იყავით ტენორი და შემდეგ ბარიტონი გახდით. ასეთი რამ შესაძლებელია?***

– დიახ, ასეა. 18 წელი ტენორი ვიყავი და 33 წლისა გავხდი ბარიტონი. ვიდრე ტენორი გახლდით, ლენსკიდან ხოზემდე ყველაფერი ვიმღერე, ერნესტოს პარტიაც კი, თუმცა თავს კომფორტულად ბარიტონად ვგრძნობ.

***– რატომ წახვედით საქართველოდან. აქ საოპერო კარიერას ვერ მოიწყობდით?***

– საქართველო ჩემი საყვარელი სამშობლოა. საზღვარგარეთ მოღვაწეობით მიღებულ წარმატებას, ანუ, იმას, რასაც საქართველოდან შორს მივაღწიე, დივიდენდად ვუბრუნებ ჩემს სამშობლოს. გადავწყვიტე, მასშტაბური მუსიკალური კონკურსები და ფესტივალები ჩემს ქვეყანაში უფრო ხშირად გავმართო.

ჩემი კარიერის მოწყობა კი პროფესიამ განაპირობა, საოპერო კარიერა დიდ სცენებს მოითხოვს.

***– თქვენი კარიერა რუსეთში ჩასვლისთანავე უცნაურად წარიმართა...***

– რუსეთში 2000 წელს ჩავედი და საცხოვრებლად მოსკოვი ავირჩიე. ამავე წლის 13 მაისს მოსკოვის ახალ საოპერო თეატრში მომისმინეს და 200 მომღერლიდან ერთადერთი ვიყავი, ვინც მეორე და მესამე ტურის გარეშე გამომარჩიეს და თეატრის დასში ჩამრიცხეს. ეს ჩემთვის დიდი სტიმული იყო, რამაც სხვა წარმატებული ნაბიჯები განაპირობა. კარგად მახსოვს, ერთ-ერთი საკონკურსო ნომრის შესრულების შემდეგ, როგორ წამოდგა ფეხზე ჟიური და ტაში დამიკრა.

***– რას უმზადებს თქვენი მუსიკალური კონკურსი „გზა კარნეგი ჰოლისკენ“ გამარჯვებულ კონკურსანტს?***

– გარდა იმისა, რომ ამ კონკურსში გამარჯვებული ბავშვები ფეხს მსოფლიოს პირველ სცენაზე დადგამენ, მათ მთლიანად დააფინანსებს დავით ღვინიანიძის საქველმოქმედო ფონდი „მსოფლიო ტალანტები“ და ფულად ჯილდოსაც გასცემს. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან მუსიკალური აგენტის მომსახურებით, რაც კარიერისთვის უმნიშვნელოვანესია.

***– რა შთაბეჭდილებები გაკავშირებთ მშობლიურ ქალაქ ქუთაისთან?***

– რა თქმა უნდა, შთამბეჭდავი მოგონებები ქუთაისსაც უკავშირდება. მაგალითად, 18 წლის ასაკში ლადო მესხიშვილის დრამატულ სცენაზე ჩემი პირველი საოპერო გამოსვლა, რომელსაც წარმატებით გავართვი თავი. აგრეთვე, ჩემ მიერ დაარსებული „ქუთაისის საერთაშორისო საოპერო ფესტივალის“ ფარგლებში ქუთაისს არაერთი ცნობილი საოპერო მომღერალი ეწვია. ვცდილობ, ხელი შევუწყო ქუთაისის საოპერო ქალაქად აღორძინებას.

***– თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?***

– ჩემი ჰობი ბუნებასთან, ცხოველებთან ურთიერთობაა. გაზაფხული დადგა და მიწა ყივის ჩემში. იმდენად მიყვარს მიწასთან ურთიერთობა, ვფიქრობ, რატომ არ ვცხოვრობ საკუთარ სახლში, რომელიც ბუნებასთან მეტად დამაახლოებს, სადაც შინაური ცხოველების ყოლას შევძლებ და ბაღში ვიფუსფუსებ. „დავით ღვინიანიძის ხელოვნების ცენტრში“ ყველაფერი ჩემი ხელითაა გაკეთებული. თითოეული მცენარე, ხე თუ ყვავილი ჩემი ხელითაა დარგული.

***– თაყვანისმცემლებთან ერთად მტრებიც გეყოლებათ. მათ როგორ იგერიებთ?***

– არ მიყვარს კონფლიქტური გარემო, ვცდილობ, თავი ავარიდო. მოსკოვში ცხოვრებამ პრობლემებთან გამკლავება მასწავლა. ასეთია დიდი სცენა, არ უკვირს შური და მტრობა, თუმცა გამარჯვება ყოველთვის სამართლიანობისა და ნიჭიერების მხარესაა.

***– საქართველოში ჩამოსვლას არ გეგმავთ?***

– ვგეგმავ! ჩემი ქვეყნის მიწა-წყალი და ხალხი განსაკუთრებულია ჩემთვის. ჩემი მშობლები საქართველოში ცხოვრობენ და მათთან გატარებული ყოველი წუთი ძვირფასია. ამავე დროს, საქართველოში არაერთ მასშტაბურ პროექტს ვგეგმავ და ესეც ერთ-ერთი მიზეზია ჩემი ჩამოსვლის.

***– აპირებთ თქვენი მონაწილეობით კიდევ უფრო შეუწყოთ ხელი კულტურული ღონისძიებების პოპულარიზაციას საქართველოში?***

– ჩემი ინიციატივითა და ორგანიზატორობით არაერთი კულტურული პროექტი განხორციელდა საქართველოში. მათ შორის, აღდგა ბათუმის საოპერო თეატრი და ქუთაისში „ქუთაისის ოპერის საერთაშორისო ფესტივალი“ დაარსდა.

სხვა ტიპის ქართულ ცერემონიებში ჩემს მონაწილეობას რაც შეეხება, ვმონაწილეობ. მაგალითად, წელს იმართება წარმატებული ქართველების დაჯილდოების ცერემონია „პერსონა 2021“. ეს ტიტული სხვადასხვა დროს მსოფლიოში სახელგანთქმულ არაერთ ქართველს აქვს მიღებული: ნანი ბრეგვაძეს, ელისო ბოლქვაძეს, თამარ ივერს, ნუკრი კაპანაძეს, კახი კავსაძეს, ლეილა აბაშიძეს, გივი ბერიკაშვილს, თემურ წიკლაურს, გიული ჩოხელს... ამ ცერემონიაში მონაწილეობით, ვფიქრობ, მსგავსი პროექტების პოპულარიზაციას შევუწყობთ ხელს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. მხოლოდ მოსახსნელი საღეჭი პროთეზები იტალიური, რუსული კბილებით. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# საქართველომ რუმინეთი კაცნაკლულმაც დაჯაბნა

**საქართველო-რუმინეთი 28:17**

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა რაგბი ევროპის ჩემპიონატის 2021 წლის გათამაშებაში ზედიზედ მე-4 მატჩი მოიგო და ჩემპიონობა ვადაზე ადრე გაინაღდა.

„ბორჯღალოსნებმა“ რუმინელებთან 28:17 იმარჯვეს. შედეგად, ანთიმოზ ივერიელის თასი, რომელიც ტრადიციულად საქართველოსა და რუმინეთს შორის თამაშდება, ისევ თბილისში დარჩა.

არადა, საქართველოს ნაკრები მე-20 წუთიდან მოყოლებული კაცნაკლული თამაშობდა, რადგან შალვა მამუკაშვილი წითელი ბარათით მოედნიდან გააძევეს.

სასტარტო წუთები ძალიან საინტერესო გამოდგა. საქართველოს ნაკრების კონტრშეტევას რუმინელთა ჯარიმა მოჰყვა, რის შემდეგაც თედო აბჟანდაძემ ჯარიმა ხუთმეტრიან ზოლში გადაიტანა და ამან შედეგი მალევე მოიტანა. სტუმრებმა თამაშის წესი ჯერ მოლში დაარღვიეს, ქართველებმა აუტს შერკინება არჩიეს და არც შეცდნენ – ძალისმიერი მიწოლით მეტოქე ზედიზედ ოთხჯერ დააჯარიმეს, რასაც ალექსანდრუ სავინის გაძევება და ტექნიკური ლელო მოჰყვა – 7:0.

მეტობაში უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო, რასაც მორიგი ჯარიმიდან აბჟანდაძის ზუსტი დარტყმა მოჰყვა და ანგარიში 10:0 გახდა.

ჩვენს გუნდს მოედანზე ყველაფერი გამოსდიოდა, მაგრამ 20 წუთის თავზე მოხდა ეპიზოდი, რომელმაც თამაშის მიმდინარეობა ძირეულად შეცვალა. რუმინელთა კონტრშეტევის შეჩერება შალვა მამუკაშვილმა სცადა, მაგრამ ძალიან უხეშად გამოუვიდა და კისერში ბოჭვის გამო წითელი ბარათი მიიღო. შედეგად, საქართველოს ნაკრები მატჩის ბოლომდე კაცნაკლული დარჩა.

ინგლისელი სპეციალისტის ენდი რობინსონის მიერ გაწვრთნილმა რუმინეთმა ამით ისარგებლა. ჯარიმა აუტში იქნა გადატანილი, მოლმა კი თავისი საქმე გააკეთა და ანდრეი გორჩოაიამ ლელო დადო, გარდასახვა კი, დანიელ პლაიმ გაიტანა – 10:7.

ამ შემთხვევამ თამაში უფრო ნერვული გახადა. გახშირდა გაწევ-გამოწევა და ცხადი იყო, რომ მეტოქეები ძალიან სერიოზულად იყვნენ განწყობილნი. საქართველოს ნაკრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რთული ვითარების მიუხედავად, უპირატესობა ხელიდან არ გაუშვია და ტაიმის ბოლომდე რამდენიმე მრავალფაზიანი შეტევა განახორციელა.

უკვე გაწითლებულ დროზე კი, თედომ კარგად დაარტყა და ტაიმი 13:7 დასრულდა.

მე-2 ტაიმის სტარტზე შეცვლაზე შესულმა რუმინელთა ბომბარდირმა ფლორინ ვლაიკუმ ჯარიმით ჩამორჩენა შეამცირა, ამას კი ქართველების დიდებული იერიში მოჰყვა. მრავალფაზიანი შეტევის შემდეგ ბურთი მარჯვენა ფლანგზე ჩავიდა, ბექა სალინაძემ ყველასთან იჭიდავა, ვინც წინ შეხვდა, ბოლო წამს ოვალი ბექა გიგაშვილს ამოუგდო და მანაც ლელო დადო, აბჟანდაძემ კი ურთულესი გარდასახვა გაიტანა და ტაბლოზე 10-ქულიანი უპირატესობა დააფიქსირა.



რუმინეთი ამ ჩამორჩენამ არ გატეხა, ქართველი მორაგბეების შეცდომებიც გამოყენებულ იქნა და დერეფნიდან აგორებულ მოლს ეუჯენ კაპაცინას ლელო მოჰყვა. ვლაიკუ ამჯერადაც ზუსტი იყო და ანგარიში 20:17 გახდა. მალევე ხელსაყრელი პოზიციიდან ხმალაძემ ბურთის აუტში გადატანა ვერ მოახერხა, სამაგიეროდ, იგივე შეძლო ტრავმირებული აბჟანდაძის ნაცვლად მინდორზე შესულმა გიორგი ბაბუნაშვილმა, რასაც ქართველთა მე-3 ლელო მოჰყვა. რუმინეთი კიდევ ერთხელ დაჯარიმდა, ჩინებულად მოთამაშე აფრასიძემ ბურთი სწრაფად გაათამაშა და მარჯვენა ფლანგზე აკაკი ტაბუცაძე მონახა, რომელმაც ბურთის ლელოს ხაზს მიღმა გადადება მოახერხა. ბაბუნაშვილს გარდასახვა აუცდა, ანგარიში 25:17 გახდა, თუმცა, მანვე უკვე დასრულებულ დროზე არეკნი შეაგდო, ნაკრებში პირველი ქულები აიღო და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 28:17.

ამგვარად, ლევან მაისაშვილის მიერ გაწვრთნილმა საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა რაგბი ევროპის ჩემპიონატის 2021 წლის გათამაშებაში ზედიზედ მე-4 გამარჯვება იზეიმა, 18 ქულა მოაგროვა.

ბორჯღალოსნებს ტურნირზე კიდევ ერთი შეხვედრა დარჩათ ჩასატარებელი და იქაც უდავო ფავორიტები იქნებიან. დასკვნითი თამაში 26 ან 27 ივნისს ჩატარდება, მეტოქე კი ბელგია ან ნიდერლანდები იქნება.

# ძიუდოისტების მონაგარი



თბილისის გრანდ სლემის ორი დღე ქართული დელეგაციისთვის მედლებით ხვავრიელი კი იყო, მაგრამ უფრო მეტს ველოდით. ჯერჯერობით, ჩვენების მონაგარი ერთი ოქრო, ორი ვერცხლი და სამი ბრინჯაოა.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში თემურ ნოზაძემ პირველ წრეში ყაზახი ტოკტარ უმათულიევი დაამარცხა, შემდეგ – ესპანელ ხუსტო ნუნეს როდრიგესსაც მოუგო, მეოთხედფინალში მონღოლ არიუნბოლდ ენკხტაივანს აჯობა, ნახევარფინალში კი, მეტოქედ ნიდერლანდის სახელით მოჭიდავე თორნიკე ჭკადუა ერგო და მასთან მოგებით ფინალში გავიდა, სადაც უზბეკი კემრან ნურილაევი დახვდა. უზბეკმა არასპორტული ილეთი გააკეთა ქართველის წინააღმდეგ, რის გამოც მსაჯებმა მოხსნეს და ოქროს მედალი ნოზაძემ ირგუნა.

ამავე წონაში პირველივე ორთაბროლა წააგო შაქრო შათირიშვილმა, რომელიც მაროკოელ ისამ ბასოუსთან დამარცხდა, ხოლო ლაშა ჩადუნელმა პირველი ორთაბრძოლა მონღოლ უნაბოლდ ლახვაგვაჯამცთან კი მოიგო, მაგრამ მეორე წრეში რუს კონსტანტინ სიმეონიდისთან ვერაფერი გააწყო და ტურნირს გამოეთიშა.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართული მეოთხედფინალი შედგა – ერთმანეთს ბაგრატ ნინიაშვილი და ვაჟა მარგველაშვილი დაუპირისპირდნენ. მანამდე მარგველაშვილმა ჯერ ყატარელი აიობ ელდირისი დაამარცხა, მერვედფინალში კი – ებრაელი ამიტ ბობოვიჩი. ნინიაშვილმა კი, პირველი ორთაბრძოლა პერუელი ხუან პოსტიგოსს მოუგო, შემდეგ – მაროკოელ იმად ბასოუს.

ქართული მეოთხედფინალი მარგველაშვილის გამარჯვებით დასრულდა. მარგველაშვილმა ნახევარფინალში მოლდოველ დენის ვერიუს მოუგო და ფინალში გავიდა. ვაჟას მეტოქედ უზბეკი სარდორ ნურილაევი ჰყავდა, მაგრამ ჩვენებურმა 15 წამში იპონით წააგო.

ნინიაშვილმა კი, ბრინჯაოს მედლისთვის რეპეშაჟის პირველ შეხვედრაში უზბეკ მუხრიდინ ტილოვოვთან მოიგო და ბრინჯაოს მედლისთვის მონღოლ კერლენ განბოლდს დაუპირისპირდა. იქ უკვე ჩვენებურმა შეუქმნა საფრთხე საკუთარ თავს მეტოქის ილეთისას და დამარცხება ჩაეთვალა.

ამავე წონაში ბექა წიფიანმა პირველი ორთაბრძოლა ისრაელის წარმომადგენელ ამირ დანტესთან კი მოიგო, მაგრამ მეორეში მონღოლ კერლენ განბოლდთან დამარცხდა.

57 კილოგრამში ეთერ ლიპარტელიანი ოქროს მედლისთვის იბრძოდა. ბრიტანელ ასელია ტოპრაკის, სამხრეთაფრიკელი დონა ბრეიტენბახისა და რუსი დარია მეჟეტსკაიას დამარცხების შემდეგ, ნახევარფინალში მეტოქედ მსოფლიო ჩემპიონი, კანადელი კრისტა დეგუჩი ერგო. კანადელი თავიდან ვაზარით დაწინაურდა, მაგრამ ეთერმა იპონით მოახერხა მეტოქის დამარცხება და ფინალის საგზური მოიპოვა, სადაც კოსოველ ნორა გიაკოვას დაეჭიდა. ჩვენებურმა კი იბრძოლა, მაგრამ უფრო გამოცდილ მოჭიდავესთან ვაზარით დამარცხდა.

52 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართველთაგან მზია ბებოშვილი, მარიამ ჯანაშვილი და ტატიანა ლევიცკა-შუკვანი ჭიდაობდნენ.

ტატიანა ლევიცკა-შუკვანმა პირველ წრეში შვეიცარიელ ფაბიენე კოჩერს მოუგო, შემდეგ მონღოლ ხორლოდოი ბიჩერელს, მეოთხედფინალში ნიდერლანდელ ნაომი ვან კრეველს, ნახევარფინალში კი, იტალიელ ოდეტე გიფრიდთან დამარცხდა. სამწუხაროდ, ლევიცკა-შუკვანმა ვერც ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა მოიგო და უნგრელ რეკა პუპთან წააგო.

ბებოშვილი და ჯანაშვილი პირველსავე წრეში დამარცხდნენ – ჯანაშვილმა იტალიელ ოდეტე გიფრიდთან წააგო, ხოლო ბებოშვილმა – ბრაზილიელ ლარისა პიმენტასთან.

მეორე დღის ორ წონით კატეგორიაში სამი მედალი კი ირგუნა, მაგრამ სამივე ბრინჯაოსი.

73 კილოგრამ წონაში ლაშა შავდათუაშვილმა ეგვიპტელ მოჰამედ მოჰიელდინსა და კუბელ მაგდიელ ესტრადას აჯობა, მაგრამ მეოთხედფინალურ ეტაპზე რუს დენის იარცევთან დამარცხდა. ლაშამ რეპეშაჟში გადაინაცვლა და იქ უზბეკ მუროდიონ იულდოშევს დამატებით დროში იპონით მოუგო, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი, კოსოვოელი აკილ გიაკოვა დაჯაბნა.

ამავე წონაში ალეკო მამიაშვილმა ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა სწორედ იარცევს მოუგო, ვისთანაც შავდათუაშვილი დამარცხდა. მანამდე მეოთხედფინალში მონღოლ ცენდ-ოჩირისთან დამარცხდა, რის შემდეგაც რეპეშაჟში სომეხ ფერდინანდ კარაპეტიანს სძლია.

პირველივე წრეში გამოვარდა ორი ქართველი – ფრიდონ გიგანი არტურ მარგელიდონთან, ხოლო თორნიკე გვიჩიანი – ბრიტანელ ერიკ ჰამთან.

81 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ტატო გრიგალაშვილმა ყატარელი ჰალილ რებახი, ყაზახი დიდარ ჰამზა, აზერბაიჯანელი მურად ფატიევი მიყოლებით დაამარცხა. ნახევარფინალური ბრძოლა კი, სამი ჩუჩისთან დათმო. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში მისი მეტოქე რუსი ალან ხუბეცოვი იყო და ჩვენებურმა მხოლოდ ბრინჯაო იკმარა.

გიორგი შერაზადაშვილი რუს ტურკალ ტერპაევთან, დიმიტრი გოჩილაიძე მონღოლ დაგვასურენ ნიამსურენთან და გიგა გიგაური ესპანელ ალფონსო სოლანასთან პირველივე წრეში გამოვარდნენ. ისევე, როგორც ინდირა სილაგაძე და მარიამ ჭანტურია ქალთა შორის.

## შედეგები

**27 მარტი**

**ფეხბურთი**

**მჩ-2022. შესარჩევი ეტაპი**

| | |
|---|---|
| ჩრდ. ირლანდია-ლუქსემბურგი | 0:1 |
| სერბეთი-პორტუგალია | 2:2 |
| ბელარუსი-ესტონეთი | 4:2 |
| ჩეხეთი-ბელგია | 1:1 |
| მონტენეგრო-გიბრალტარი | 4:1 |
| ნიდერლანდები-ლატვია | 2:0 |
| ნორვეგია-თურქეთი | 0:3 |
| რუსეთი-სლოვენია | 2:1 |
| ხორვატია-კვიპროსი | 1:0 |
| სლოვაკეთი-მალტა | 2:2 |

# პეკინის ლიცენზიები მოციგურავეებმა გახსნეს

შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში მიმდინარე მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებით გამოვიდა საქართველოს დელეგაცია და 2 ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა. მომდევნო ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 2022 წელს პეკინი უმასპინძლებს.

17 წლის ალინა ურუშაძემ მოკლე და თავისუფალი პროგრამების ჯამში 169,01 ქულა მოაგროვა, მე-20 ადგილზე გავიდა და პეკინის 2022 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საგზური გაინაღდა.

სალიცენზიო მონაგარი ორამდე გაზარდა მორის ყვითელაშვილმა.

მორისმა, რომელმაც შარშან, ვაჟთა ასპარეზობის ისტორიაში პირველად, საქართველოს ევროპის ჩემპიონატების ბრინჯაოს მედალი მოუპოვა, ამჯერად პროგრამა მინიმუმი შეასრულა – მოკლე და თავისუფალი პროგრამების ჯამში 231.81 ქულით მე-14 ადგილზე გავიდა და საქართველოს ოლიმპიურ გუნდს ლიცენზია მოუპოვა.

სტოკჰოლმის მსოფლიო ჩემპიონატზე ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად ქალთა და კაცთა ერთეულებში საუკეთესო 24-ში მოხვედრა იყო საჭირო, წყვილებში – 16-ში, სპორტულ ცეკვებში – 19 საუკეთესოს შორის მოხვედრა.

# ბარსელონური ამბები

ბარსელონასა და ესპანეთის ნაკრების 41 წლის ლეგენდამ, ჩავიმ, გერმანულ მედიასთან ისაუბრა, სადაც გერმანიის ნაკრების 61 წლის თავკაცზე, იოაჰიმ ლიოვზე თქვა, რომ ის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელია, რომელიც ბარსელონასაც ჩინებულად მოერგებოდა.

**ჩავი:**

– ლიოვი ელიტური მწვრთნელია. მას უყვარს სანახაობრივი, შემტევი ფეხბურთი და ამ სტილით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მან გერმანიაში განსხვავებული ფეხბურთის განვითარებას შეუწყო ხელი. მისი ფილოსოფია მაგონებს იმას, რასაც თავად ბარსელონასა და ესპანეთის ნაკრებში დავეჩვიე. საფეხბურთო შეხედულებებისა და პიროვნული თვისებების გამო, ვფიქრობ, ის ბარსელონასაც ჩინებულად მოერგებოდა. ლიოვი სავსებით მართალია, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გერმანიის ნაკრებიდან წასვლას რომ აპირებს. 15 წელი ერთ გუნდში, ძალიან დიდი დროა, მით უფრო, რომ დიდ შედეგებს მიაღწია. ამდენი ხნის განმავლობაში, ერთსა და იმავე ადგილზე, ადამიანი აუცილებლად გამოიფიტება.

ჩავი ერნანდესი 2019 წლიდან ყატარის კლუბ ალ საადს წვრთნის.

ბარსელონას პრიორიტეტი კი, ზაფხულში ცენტრალური თავდამსხმელის შეძენაა და ფავორიტი ამ პოზიციაზე დორტმუნდის ახალგაზრდა ცხრიანი, ერლინგ ჰოლანდია.

ერთია, 20 წლის ნორვეგიელის ფასი 2022 წელს 75 მილიონ ევრომდე დაეცემა, გერმანული კლუბი ამ წელს, მის სანაცვლოდ, ასტრონომიულ თანხას მოითხოვს.

თუ დორტმუნდი შემდეგ სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრას ვერ შეძლებს, მათთვის ჰოლანდის შენარჩუნება რთული იქნება, რადგან სხვა ევროპული გიგანტები დიდ ფულს ჩამოვლენ და ფინანსური კუთხით, კონკურენციის გაწევას ვერ შეძლებს, თუმცა ფეხბურთელის აგენტთან, მინო რაიოლასთან კარგი ურთიერთობა, შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

ამავდროულად, დორტმუნდი მიიჩნევს, რომ ჰოლანდი შემდეგ სეზონში გუნდში არ დარჩება და გეგმავს, რომ სოსიედადის შვედი თავდამსხმელი, ალექსანდერ ისაკი დაიბრუნოს, რომლის გამოსასყიდი თანხაც 30 მილიონ ევროს შეადგენს.

ესპანური მედიის ინფორმაციით, ბარსელონამ ფილიპე კოუტინიო და მარტინ ბრეითუეიტი ტრანსფერზე დააყენა.

ბრაზილიელი ნახევარმცველი და დანიელი თავდამსხმელი მირალემ პიანიჩს შეუერთდნენ. კლუბმა ერლინგ ჰოლანდის შესაძენად სატრანსფერო თანხის შეგროვებაზე ზრუნვა, როგორც ჩანს, ადრევე დაიწყო.

დიდი ალბათობით, მათ რიგებს კარლეს ალენიაც შეემატება. ბარსას ნახევარდაცვის ხაზიდან ტრანსფერის მხრივ ხელშეუხებელნი მხოლოდ სერჟიო ბუსკეტსი და ფრენკი დე იონგი არიან.

ბარსელონას ფრანგი თავდამსხმელი უსმან დემბელე კი ტურინის იუვენტუსის რადარზეა.

იტალიური კლუბის ხელმძღვანელები ფეხბურთელით ჯერ კიდევ გასულ წელს დაინტერესდნენ, ახლა კი მიიჩნევენ, რომ მასზე ახალი ფორმაციის გუნდის აწყობა შეიძლება.

ცუდი ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, დემბელეს ტრანსფერი ბარსელონას გეგმებში არ შედის. მეტიც, ჟოან ლაპორტას პრიორიტეტი კონტრაქტის გახანგრძლივებაა და თუ საჭირო გახდება, ის მზადაა, უსმანს პირადად ესაუბროს და დარჩენაში დაარწმუნოს.

დემბელეს მოქმედი ხელშეკრულება 2022 წლამდე გრძელდება. მძიმე ტრავმის მოშუშების შემდეგ დემბელე კატალონიურ გრანდში თავს კომფორტულად და გუნდის მნიშვნელოვან წევრად გრძნობს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ცხენების შემსწავლელი დისციპლინა; 2. მდინარე ახალციხეში; 3. ლუდის მწარმოებელი ირლანდიური ფირმა; 4. კათოლიკური ჯვარი; 5. მთიანეთი ევროპაში; 11. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 12. პოპულარული ქართული სიმღერა; 14. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 16. ჩინეთში წარმოშობილი, ქაღალდისგან ფიგურების შექმნის ხელოვნება; 17. კინოთეატრი თბილისში; 19. რომელიმე ენის სიტყვების მარაგი; 21. ხელოვნური წყალსაცავი რაჭაში; 22. უბანი თბილისში.

**თარაზულად:** 6. მეშახტეთა შორის გავრცელებული ფილტვების სპეციფიკური დაავადება; 7. თაღლითის ძველი ქართული სახელწოდება; 8. პროფესიონალი ცხენოსანი; 9. ბრიტანული ფარმაცევტული კომპანია; 10. გარკვეული ვადითა და პირობებით გაცემული თანხა; 13. პოპულარული ტანსაცმელი; 15. გერმანიაში გამოყვანილი სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 18. ლატვიელი ესტრადის მომღერალი ქალი; 20. უმარილო ხმიადი, რომელსაც ებრაელები ამზადებენ სააღდგომოდ; 21. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 23. ჯარების განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე; 24. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. თაჯა; 2. ირი; 3. პლატფორმა; 4. ბურგი; 5. ბარბერი; 8. ხალი; 9. ჯამბაზი; 10. გარანტია; 12. აიაქსი; 13. ფშავი; 15. აპაში.

**თარაზულად:** 1. თუტმოსი; 6. კლაუზულა; 7. ჯიხვი; 10. გოტიე; 11. ქლესა; 13. ფობია; 14. დრამი; 16. ქამა; 17. ათაბაგი; 18. ჭყვიში.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კურვუაზიე; 2. შეიკერი; 3. დილეგი; 4. კლოპი; 5. ღვინიო; 11. ბომბეი; 12. კეხანა; 14. დალი; 16. რონდელი; 17. იშტვანი; 19. თერაპია; 21. მტილი; 22. ტესლა.

**თარაზულად:** 6. ლუციფერი; 7. პულკოვო; 8. პიტნა; 9. მუხაძე; 10. გერბი; 13. წინდა; 15. კრომბახერი; 18. თიანეთი; 20. შუნი; 21. მოხერი; 23. მიკროსკოპი; 24. ნოველა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


29 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3718

ევრო — 3.9733

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6457

100 რუსული რუბლი — 4.4366

## ამინდის პროგნოზი 29 მარტისათვის




## მამაკაცმა სპინინგით გაყინული წყლიდან ბავშვი ამოიყვანა



უკრაინის დედაქალაქ კიევში მეთევზემ სპინინგის დახმარებით გაყინული მდინარიდან ბიჭი ამოიყვანა.

რიჩარდ გორდა მდინარე დესენკაზე თევზაობდა, როდესაც ნაპირიდან 20 მეტრში თხელ ყინულზე მყოფი 11 წლის ბავშვი შენიშნა. მან მეგობარს სერგეი ბულავსკის სპინინგი სთხოვა, რომელსაც მტკიცე ძუა ჰქონდა და ის წარმატებით გადაუგდო მოზარდს.

– ბიჭმა მას ხელი სტაცა და მე ფრთხილად გამოვიყვანე ნაპირზე ყინულის კუნძულთან ერთად. ხელები მიკანკალებდა, ხოლო ბავშვი და ჩემი მეგობარი სახლში წავიდნენ გასათბობად, – განაცხადა გორდამ.

უკრაინელი საკუთარ საქციელს გმირობად არ მიიჩნევს. მისი თქმით, ის, უბრალოდ, საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდა. მან ასევე აღნიშნა, რომ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ადრეც გადაურჩენია ბავშვები.

## ძარცვის შემდეგ ქურდი გისოსებში გაიჭედა



მექსიკის მიჩოაკანის შტატის ქალაქ მორელიში ქურდი ძარცვის შემდეგ გისოსებში გაიჭედა და იძულებული გახდა, პოლიციის მისვლას დალოდებოდა.

მეზობელი მრავალბინიანი სახლის მცხოვრებლებმა გისოსებში გაჭედილი უიღბლო მძარცველი შენიშნეს და პოლიციას შეატყობინეს.

– ის სათაგურში გამომწყვდეულ ვირთხას ჰგავდა, – ამტკიცებს ერთ-ერთი თვითმხილველი.

ორ საათზე მეტი დრო გავიდა, ვიდრე შემთხვევის ადგილზე პოლიციელები მივიდნენ. მათ ჯერ სპეციალური მოწყობილობის გამოყენებით გაათავისუფლეს მძარცველი, შემდეგ კი დააპატიმრეს.

## ზვიგენმა ცხრა წლის ბიჭი დაკბინა



ამერიკის მინესოტის შტატის მკვიდრი ცხრა წლის ბიჭი, რომელიც ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამიბიჩის პლაჟზე ოკეანეში ბანაობდა, ზვიგენმა დაკბინა.

კვირას, 21 მარტს, ცხრა წლის ბიჭი, რომელიც მინესოტის შტატიდან ოჯახთან ერთად დასასვენებლად იყო ჩასული, ოკეანეში ბანაობდა. ბავშვი წყალში შევიდა და რამდენიმე წუთში მას მტაცებელი თევზი დაესხა თავს.

ბიჭის დედამ კრისტინ ვაისკოფმა განაცხადა, რომ შვილი ხელში ჰყავდა აყვანილი, როდესაც წყალში იმყოფებოდა. მოულოდნელად ბიჭი მუცელზე დაეცა და დედამ მის მხარზე ჭრილობა შენიშნა.

– მან მხოლოდ დაიკვნესა. ძირს დავიხედე და ერთ მეტრამდე სიგრძის ზვიგენი შევნიშნე, რომელიც ჩვენგან მიცურავდა. სასწრაფოდ ბავშვი წყლიდან ამოვიყვანე და პლაჟზე გავიქეცი, – განაცხადა ბიჭის დედამ.

დაშავებული ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას კანის გადანერგვის ოპერაცია დასჭირდა. ამ დროისთვის ბიჭს ხელის ამოძრავება უჭირს, თუმცა ექიმები ოპტიმისტურად არიან განწყობილი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ფირმაში მუშაობის დამწყებს ეკითხებიან:

– თქვენ რეზიუმეში გიწერიათ, რომ მოჩვენებებს ანადგურებთ.

– დიახ, მართალია.

– კი მაგრამ, მოჩვენებები ხომ არ არსებობენ.

– მადლობის გადახდა საჭირო არ არის.

•••

80 წლის მოხუცს მოსამართლე ეკითხება:

– რატომ გადაწყვიტეთ, 55 წლის თანაცხოვრების შემდეგ ცოლს გაშორდეთ?

– იცით, რას აკეთებს ეს შობელძაღლი? როდესაც ვიძინებ, ჩემს ჩასასმელ კბილებს იღებს, ისვამს და ნიორს ჭამს!

•••

სოფლიდან ქალაქში პირველად ჩამოყვანილ შვილს მამა თბილისს ათვალიერებინებს და ეუბნება:

– აი, შვილო, ეს არის ყოფილი მერიის შენობა, ეს ვახტანგ გორგასალის ძეგლია, ეს ფუნიკულიორია...

ამ დროს თავში ხელს წამოარტყამს და ეუბნება:

– რამდენჯერ გითხარი, აფთიაქთან პირჯვარს ნუ იწერ!

•••

კანიბალებმა ტურისტი დაიჭირეს, ცეცხლი დაანთეს, წყლით სავსე უზარმაზარი ქვაბი შემოდგეს და ერთ-ერთი ტურისტს ეკითხება:

– შენი სახელი?

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მაინც უნდა შემჭამოთ!

– რას ჰქვია, რა მნიშვნელობა აქვს, მენიუსთვის არის საჭირო!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ანზორ ერქომაიშვილს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს



80 წლის ლოტბარს, ანზორ ერქომაიშვილს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელს გამოჯანმრთელებას მთელი საქართველო უსურვებს.

ინფორმაცია ფონდის „ქართული გალობა“ აღმასრულებელმა დირექტორმა ნანა გოთუამ ინტერნეტით გაავრცელა:

– ბატონო ანზორ, თქვენ უნდა იყოთ ძალიან კარგად, ძალიან დიდხანს...
სხვანაირად ფიქრის უფლებაც კი არ გაქვთ...
ღმერთმა დიდხანს გვიმყოფოს თქვენი თავი.

## გადაცემა „არ გაჩერდე“ დაიხურა




ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე მუსიკალური გადაცემა „არ გაჩერდე“ დაიხურა. მომღერალი თიკა ფაცაცია და მსახიობი არჩილ სოლოღაშვილი მუსიკალურ ბენდთან ერთად ამ შოუს აღარ გაუძღვებიან.

ინფორმაცია შოუს დახურვის შესახებ მისმა ერთ-ერთმა წამყვანმა არჩილ სოლოღაშვილმა გაავრცელა:

– ბოლო „არ გაჩერდე“. ძალიან მომენატრება. მადლობა გუნდის ყველა წევრს მეგობრობისთვის და ასევე, თანამშრომლობისთვის.

## ზურაბ რთველიაშვილი ავერსის კლინიკაში მოათავსეს



პოეტი ზურაბ რთველიაშვილი ავერსის კლინიკაში მოათავსეს. მას თრომბის დიაგნოზი დაუსვეს.

ინფორმაცია მისმა მეგობარმა, მწერალმა ირაკლი კაკაბაძემ სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– ქართული პოეზიის სინდისი და ნამუსი ზურა რთველიაშვილი თრომბის დიაგნოზით ავერსის კლინიკაშია.

დიდი მადლობა თეა წულუკიანს გულისხმიერებისთვის. ვიბრძვით ზურას სიცოცხლის გადასარჩენად.

ორი კვირა უფულობის გამო ვერ მივიდა კლინიკაში. გვიმალავდა, მაგრამ მაინც გამოჩნდა ჭირი. ვლოცულობთ ყველა.

## ნინი წიკლაურს კორონავირუსი დაუდასტურდა



მომღერალ ნინი წიკლაურს, რომელიც ამერიკაში იმყოფება, კორონავირუსი დაუდასტურდა:

– დამიდასტურდა ავადსახსენებელი ვირუსი. ვწერ იმიტომ, რომ ვინც ჩემთან სიახლოვეს იყავით, 90%-ს გადატანილი აქვს, დაუკვირდით სიმპტომებს. აბსოლუტურად არ მაინტერესებს ვინ გადამდო ან საიდან მოვიდა ჩემამდე, არ მგონია, ეს სწორი მიდგომა იყოს ზოგადად. ყველას გამოჯანმრთელებას გისურვებთ და პირველ რიგში ჩემს თავს. 4 აპრილამდე გემშვიდობებით. პ.ს. სიმპტომები მაქვს მხოლოდ გაციების 2 დღეა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## დავით ღვინიანიძე სამშობლოს დივიდენდს უბრუნებს



მსოფლიოში ცნობილი ოპერის მომღერალი, ბარიტონი დავით ღვინიანიძე თავისი კარიერის მწვერვალზეა. მომღერლის სახელს არაერთი გრანდიოზული კულტურულ-სახელოვნებო პროექტი უკავშირდება. მაგალითად, მუსიკალური პროექტი „გზა კარნეგი ჰოლისკენ“, რომელიც ახალგაზრდა ხელოვანების პოპულარიზაციას ეწევა და მათ მსოფლიოს პირველი სცენისკენ უკვალავს გზას.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მომღერლის კარიერაში ახლა ხდება – ფილადელფიაში მალე მისი სახელობის 2000-ადგილიანი მასშტაბური კულტურისა და ხელოვნების ცენტრი გაიხსნება, სადაც მუსიკოსები, მხატვრები, მოცეკვავეები თუ მომღერლები მოიყრიან თავს და თავიანთი ხელოვნების დემონსტრირებას შეძლებენ.

დავითი პროდიუსერიცაა. სწორედ მისი დახმარებით გაიკვალა გზა მომღერალმა ალექსანდრე ზაზარაშვილმა უკრაინული საბავშვო ვოისისკენ და გაიმარჯვა კიდეც. მომღერალს საქმიანი კავშირი აქვს ჰოლივუდურ შოუებთანაც, რომელსაც წარმატებით იყენებს თავისი მუსიკალური პროექტების გამარჯვებული კონკურსანტების პოპულარიზაციისთვის.

მომღერალი, რომელიც თავისი სახელობის აკადემიაში არაერთი ბავშვის ვოკალური მონაცემების ფორმირებას უწყობს ხელს, სიამოვნებით იხსენებს თავის ბავშვობას, რომელიც ზედმეტად დატვირთული ყოფილა, რადგან მშობლები არაფერს იშურებდნენ მისი ნიჭისა და უნარის განსავითარებლად, თუმცა, მუსიკისა და წარმატებული სწავლის გარდა, არაფერი არ აინტერესებდა: მისი თანატოლები ქუჩაში რომ თამაშობდნენ, ის ენციკლოპედიებს კითხულობდა, საავტორო გადაცემებს გეგმავდა ან ხმის სავარჯიშოებს ასრულებდა. თანატოლებს ამის გამო ხშირად ელიმებოდათ, მაგრამ მერე, როცა საქართველოდან წასული იქიდან წარმატებული ჩამოდიოდა, თავისი მეგობრები ეტყოდნენ ხოლმე, ნეტა ჩვენც შენსავით გვემღერა და გვევარჯიშა, შენისთანა წარმატებული ვიქნებოდითო:

– ასე უჩვეულოდ და ჩემი თანატოლებისგან განსხვავებულად ჩაიარა ჩემმა ბავშვობამ და ბედნიერი ვარ, რადგან ჩემი განვითარების პროცესს დიდი დრო დავუთმე, – აღნიშნავს მომღერალი.

შეკითხვაზე, თუ რა დარჩა მიუღწეველი, ამბობს: „რაც მინდოდა, ყველაფერს მივაღწიე. საოცნებოდ ისღა დამრჩა, ღმერ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ასტროპროგნოზი



29 მარტისათვის

**ვერძი** – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 2. იაპონელი მწერალი, რომან „საკურას“ ავტორი; 3. „ფორმულა-1-ში“ მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 4. სიკეთე, კეთილი საქმე; 5. ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი ბრიტანული სამხედრო თვითმფრინავი; 8. მატყლის ძაფის სართავი, უმარტივესი ბზრიალა ხელსაწყო; 9. პიროტექნიკური ტკაცუნა; 10. უბანი ქუთაისში; 12. ჟარგონი, არგო ინგლისურ ენაში; 13. საშობაო სიმღერა; 15. ჯეიმს ჯოისის რომანი.

**თარაზულად:** 1. უძველესი ქართული ხალხური თეატრალური თამაში, წარმოდგენა; 6. ტყავის დამამუშავებელი საამქრო ძველად; 7. რაიმეს საზღვარი, ზღუდე; 10. გარეული ცხოველი აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის სიმბოლო; 11. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 13. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 14. ესპანელი კინოვარსკვლავი ქალი; 16. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში; 17. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 18. კომპანია „ზარას“ მფლობელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

